


ინვალიდთა და ბლეითა კომიტეტების ყოფა-ცხოვრება

კვირა. თებერვლის 17.

№ 5. ფასი 20 კ. ჩ.



სიმინდის რჩევაზე.

ნახატი დ. ქუთათელაძისა.

**შინაარსი № 5 (8) — 1924 წ.**

**მეთაური** — ა) ნაკვალევში რა გრჩებათ? 2) სახელოვანი მემკვიდრე.
**ელ. ჩერქეზიშვილი** — ტასოს იუბილეს გამო.
**ივ. გომართელი** — კრიტიკული შენიშვნები.
**ჰ. ძველაია** — კოლექტივიზმი და ხელოვნება.
**საფო მგელაძე** — მეგობარს.
**კაიუს პელი** — კრიალოსანი.
**ბ. პელაშვილი** — ქარხანაში.
**ილ. ფერაძე** — *** (ჰალმინის ლექსი).
**რ. მურთაზაშვილი** — მარეხ-ვარსკვლავი.
**პარდონი** — „ქანდაკება".
**მუშა გოგია** — სათეატრო ინსტიტუტს.
**ი. წ.** — ჩვენი მხატვრები — დ. ქუთათელაძე.
**გრი** — პატარა ფილეტონი — სცენა „დურუჯის" კორპორაციაში.
**მ. ბუაჩიძე** — მეცნიერთა საყურადღებოდ.
**იოსებ არიმათიელი** — თ. ი. ხუსკივაძე.
**მასწავლებელი** — ჩვენი მწერალ-მოღვაწენი — ი. გულისაშვილი.

**თეატრი, მუსიკა, მხატვრობა.**

**რეცენზიები.**
**გ. ჯაბაური** — სისხლიანი ჩერვონცები.

**ბიბლიოგრაფია:**

**ი. არიელი** — ალ. ყაზბეგი.

**დაბა-სოფელი:**

**ი. პავლიაშვილი** — მეტი ყურადღება სოფლის თეატრს.



**მოჰქრის სიჩქარით როგორც ელექტრო!!!**
**ტფილისში:**
**„გილიოტინა"**
**ელოდეთ თებერვალში.**



**მიიღება ხელის მოწერა**

**1910** XIV **წელიწადი მეთოთხმეტე** XIV **1924**

# თეატრი და ცხოვრება

**სათეატრო-სახელოვნო სურათებიანი ყოველკვირეული უპარტიო ჟურნალი**
**იუმორისტული განყოფილებით**

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

**ჟურნალში დაიბეჭდება:** წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები, სცენები, მინიატიურები, სათეატრო-სამწიგნობრო-სახელოვნო ქრონიკა ჩვენი და უცხოეთისა, რეცენზია მიმოხილვანი, მოღვაწეთა სურათები, შარჟები და სხვა.

**მონაწილეობენ ცნობილი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები.**

ფასი: წლიურად . . 10 მან. ჩერ.
ნახევარ წლით . 6 „ „
თითო ნომერი . 20 კაპ. „

მოიკითხეთ რკინის გზის კიოსკებში და გაზეთის გამყიდველებთან.

**წლიურ ხელის მომწერთ გასული 1923 წ. ნომრები უფასოდ მიეცემა.**

**მიიღება დასაბეჭდათ განცხადებანი დაკლებულ ფასებში.**

**რედაქცია:** ძველი ქართული თეატრი, ყოფ. წითელარმიელთა კლუბი სასახლის ქ. № 5.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციაში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **თმში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე".**

# თეატრი და ცხოვრება

1910-1924

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წელიწადი XIV

№ 5

ფასი 20 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

რედაქციის ბინა: ძველი ქართული თეატრი (ყოფ. წითელარმიელთა კლუბი), სასახლის ქ. № 5, ეზოში.

ფოსტით: ტფილისი. რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა მხატვრობა. ქანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თებერვლის 17 | გამოცემა 1924 წ.


## თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 7.

**ნ კვ ლევნი რ ბრჩე ათ?** ხელოვნების ყოველი დარგის დიდებული ნაწარმოები რამდენად საერთაშორისოა, იმდენად ეროვნული.

და ვაი იმ ერის ხელოვნებას, რომელიც ამ საანბანო ჭეშმარიტებას ასცდება.

ამის ნაყოფი ჩვენ რაოდენადმე ვიგემეთ.

ჩვენი თეატრის კრიზისში, სხვათაშორის, ამ მხარესაც უძევს წილი.

ჩვენი ახლანდელი აკადემური თეატრის სცენაზე თითქმის ყოველთვის ნახავთ უცხოეთის რეპერტუარს, ჩვენსას კი არა და თუ ჩვენებურს რასმეს გამოჰფენენ,—მხოლოდ დაძველებულ პიესებს, ბოდიშის მოსახდელად.

გამოდის, თითქოს ჩვენის თეატრის სულისჩამდგმელებმა არ იციან ქართველი ხალხის სულისკვეთება, ყოფა ცხოვრება, მოთხოვნილება.

მარტო გართობით, ზიზილპიპილო საწახაობით მისი დაპურება როდი შეიძლება.

ჩვენი საზოგადოება ხომ ნიუ იორკის ქონმოყირჭებული ბურჟუაზია არ არის, რომ თეატრში მარტო გართობისთვის მიდიოდეს, ან მოსკოვის თავქეიფა ვაჭარ-ვაჭრუკები რომ თეატრში სათვალსეიროდ ვიდოდენ, ან პარიზის გადაშენებული წოდება, რომ კაფე-შანტანის ორაზროვან მანქიობით სტკბებოდეს!

აკადემიურმა თეატრმა, პირველყოვლისა, მაღლა უნდა ასწიოს დროშა მშობელი ერის ყოფაცხოვრების დახასიათებისა და სამშობლო დრამატურგიას გზა ფართედ გაუხსნას, თორემ:

„ფანცი-ფუნცი გაცვდება,
ძველი ჟამი დარჩება!“

—

**ხახეოლვანი მემკვიდრე.** ქართული თეატრის მეისტორიე მუდამ დიდებით მოიხსენიებს ერთი ოჯახის სამებას,—ვასოს, მაკოს, ტასოს,—მამას, დედას, ასულს.

ესენი მთელი 25—45. განმავლობაში აბრწყინებდენ სამშობლო სცენას და მათი ნაშუქით დღესაც კაშკაშებს ჩვენი ხელოვნების ტაძარი.

სახელოვან მშობლების მემკვიდრე—ტასო მთელი 25 წ. ანთებდა მაყურებელ-მსმენელთა გულს.

სიცოცხლე, სიხალისე, სიხარული, ალმაფრენა,—აი ტასო ყოველს როლში.

მეტია ტასოს დამსახურებაზე ლაპარაკი,—ჩვენის თეატრის ყოველმა მეკობარმა იცის იგი.

დღეს, თებერვლის 10, კიდევ ერთხელ იზეიმებს მელპომენე ამ თავისი უდიდესი ქურუმის ნამოღვაწევით.

ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ განიცდის სიამის წუთებს.

გულითადი სალამი ჩვენის სცენის მშვენებას, ჩვენს ტასოს!

# ტასოს იუბილეს გამო

(მოგონება)

დადგა საზეიმო ჟამი ჩვენი ცქრიალა ტასოსი. ეს სცენის მნათობი ყოველთვის შუქნარა თაიგული იყო მსახიობთა შორის.

მე, მისი უფროსი ამხანაგი, ჯერ თითქმის თოთხმეტი წლიწადი ვმუშაობდი სცენაზე უტასოოდ.

მრავალჯერ დამტკბარი ჩემი უფროსი ამხანაგი მაკოს თამაშით, მე ხალისით ვეწეოდი ჰაპანს. ხშირად მაკო თავისი ხელოვნურის თამაშით გამიტაცებდა შორს და მავიწყდებოდა, რომ მე მაკოს ან ალმზრდელს ან ბებია-ქალს ვთამაშობდი. ამის გამო მაკო თავისი დიდრონის თვალებით და ჯადოსნურის ღიმილით მანიშნებდა -„სთქვიო“. მეც უცბად ვერკვეოდი, მისგან მოხიბლული, და განვაგრძობდი ჩემს სათქმელს.

ვისაც მაკოს მრავალფეროვანი თამაში ახსოვს, სამწუხაროა მისთვის მაკოს სცენიდან ადრე გაშორება, რადგანაც ყურთასმენამ უღალატა და იძულებული ჰყო თავის საყვარელ საგანს სამუდამოდ გამოსთხოვებოდა.

აგრეთვე ჩემი უფროსი ამხანაგი ვასო მხიბლავდა თავისი საიშვიათო ნიჭით, მახალისებდა თავისი გულწრფელის ამხანაგურის რჩევით.

ჩვენ ამ ოცდა თვრამეტი წლის წინად მრავალი სიდუხჭირე გამოგვივლია სცენაზე მუშაობით მაგრამ საქმის სიყვარული ძალღონეს გვიორკეცებდა.

ასე მიმდინარეობდა ჩვენი ღატაკი თეატრის საქმე. მაკოს დაშორების შემდეგ ვერავინ იყო მისი მოადგილე, თუმცა მსურველნი ხშირად ეწერებოდნენ დასში, მაგრამ მაკოს მაგიერნი არ ჩნდებოდნენ.

ერთ დღეს მეტად გულდაწყვეტილებული ვიყავი, რადგანაც სამი დღე დავსდევდი ჩვენს ხაზინადარს და სამი მანათი ვერ მომცა. ვიჯექი ჩემს ოთახში და ზანტად როლს ვკითხულობდი და ჩვენი სცენის ბედით ვნაღვლობდი. ამ დროს მახარეს— ტასოს დებიუტიაო.

მართლაც დადგა ბედნიერი დღე. ტასო გამოცქრიალდა სცენაზე და ჩემი ქმუნვარებაც გაჰქრა. ტასომ სამშობლო სცენაზე შემოსვლის უმალ თავისი თამაშით აანთო ხელოვნების ქია კოკონა და აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ტასომ დაიწყო თავისი დედის როლების შესრულება. ყველანი შევხაროდით. როცა ტასო რომელიმე როლს ასრულებდა, ჩვენს სცენას ახალ-ახალ გამარჯვებას აძლევდა. მისი კისკისი, ხმა, სიცოცხლით სავსე მიხვრა-მოხვრა სამუდამო დაუშლელ საძირკველს უყრიდა ჩვენს ღარიბ სცენას. რა როლიც კი შეხვდებოდა, სრულის შეგნებით ასახიერებდა.

ვინ არ აღუფრთოვანებია ტასოს „ალლუმ"-ში, „პარიზელ ბიჭ"-ში, „ჰამლეტ"-ში, „ლალატ"-ში, „ორ ობოლ"-ში, „ორ ჯიბგირ"-ში, „სინათლე"-ში, „გადაჭრილ მუხა"-ში და მრ. სხ. პიესაში. არც ერთი პიესა არ იყო უტასოოდ საინტერესო.

აგერ ტასომ პირნათლად შეასრულა 25 წ. სამშობლო სასცენო ხელოვნების ასპარეზზე მოღვაწეობისა თავისი ჯადოსნურის თამაშით, რომელსაც ფარვანასავით დავსტრიალებდი: ხან დედის გრძნობით აღჭურვილი უყვავებდი, ხან გადაყრუებული ბებია ვიყავი და ვტუქსავდი, ხან აღმზრდელი სასტიკი და ყურებს აუწევდი ხოლმე, ხან მათხოვარი ლოთი დედა-ბერი ტასოს ვტანჯავდი უხეში მოპყრობით.

მართალია დროება იცვალა, ეხლანდელი სასცენო ხელოვნება სხვანაირს სახიობებს თხოულობს, მაგრამ ტასო შორს მჭვრეტელობას არ დაჰკარგავს, არ გაჰყვება სიჭრელეს და კიდევ დიდხანს განაგრძობს სამშობლო სცენის სამსახურს განახლებულის ძალღონით.

ჯანში უდგას სიცოცხლე ვასოსი, გულში უღვივის ნაპერწკალი მაკოსი. ამის გამო სრული დამთავრებული სცენის მშვენებაა ..

მეც. მისი ამხანაგი, შორით ჩემის მხურვალე გრძნობით ჩავიკონებ ჩემს მოხუც გულში და სიხარულით გულაყუჩებული მაგრამ დაუკოცნი გრძნობით ალსავსე თვალებს და შევნატრი: ნეტავი შენა, ტასო, რომ კიდევ დიდხანს შეგიძლიან მუშაობა ჩვენ საყვარელ სცენაზე.

იცოცხლე დაუჭკნობლად, ყოველთვის ჰყვაოდე ისე, როგორც შენი ფსკუნჯათ ნათამაშევი როლები გიკარნახებენ.

**ელისაბედ ჩერქეზიშვილი.**

# კრიტიკული შენიშვნები

## III. არიმანი. ლურჯი კაბარე.

არიმანი ახალი პოეტია. წინეთ ჩვენში მოცლილი ხალხი დრამებსა სწერდა. დღეს მოცლილები პოეტობიას თამაშობენ: შეაკოწიწებენ ორიოდე ლექსს, სადაც არც თავია, არც ბოლო და არც აზრი, და შეჰქმნიან განგაშს:

„და აბა ახლა გვმართებს
თავის გამოჩენა,
რომ იადონ ბულბულებს
გავუწბილოთ სტვენაო." (აკაკი).

ასეთი პარნასელია არიმანიც.

როგორც ახალ პოეტს, განსაკუთრებით უყვარს კაფე-შანტანი, მეტადრე თუ იქ ტიტველი ქალებია.

„კაფე-შანტანი სავსე არის ტიტველ ქალებით".

ასე იწყება მისი პირველი ლექსი.

მერე?

მერე ის, რომ არიმანს ცეცხლი დაურბენს ტანში:

„მიწვევენ რხევით და გულისთქმას მით მიალებენ".

არიმანი გადაავლებს თვალებს და ამოირჩევს ერთ პრინცესას.

„ამაღამ მინდა მის ტანთ რხევამ მომიძღოს ალი".

ჰხმ, ჰხმ! ახირებული ხალხია ეს ახალგაზრდა პოეტები!

ეშხში შესული არიმანი გაუსვამს ღვინოს ხელს და სწორეთ აქ იწყება მისი მარცხი: დაითვრება და მთელი მისი განზრახვა ჩაიფუშება.

„მაგრამ დავითვერ... აღარ ვარგივარ."

მადლობა ღმერთს, თორემ რომ არ დამთვრალიყო და განეგრძო თავისებურათ, საჯაე რასმე დაიწერდა!

მეორე ლექსიდან ჩვენ ვტყობილობთ ერთ დიდ თვისებას არიმანისას: მას ჰყვარებია ნორჩი ძუძუების სრესა.

დიდბუნებიანი ადამიანი ყოველთვის პირდაპირია, ასეთია არიმანიც,—ის პირდაპირ აცხადებს, რაც უყვარს.

ფრთხილად მაინც იქნებიან, ვისაც ეს შეეხება!

მესამე ლექსი იმისი დასაბუთებაა, რომ მთაგორას რითმათ შეეფერება რაბინდრანათ თაგორა და ალისფერს ალიგიერი.

მეოთხე ლექსი ამჟღავნებს არიმანის დიდ შემოქმედებას:

„და შამბის ბალი გიყვაოდა ნდომით მკლავის ქვეშ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფ, ით! სული და გული! აი მესმის ასეთი პოეტური სურათი, თორემ გამოდგება შოთა და მოჰყვება:

„მუნვე სწვიმს წვიმა ბროლისა,
ჰგია გიშრისა ღარი სად".

აბა რა შედარებაა!

მეხუთე ლექსი გვიმტკიცებს, რომ მაისში ადამიანს აპრილი ავიწყდება

მაგრამ ყოველთვის არა! მხოლოდ მაშინ, როდესაც—,

მაგრამ თვით არიმანს მოვუსმინოთ:

„და სული ოფორტებს ოდესაც ითვისებს".

ნეტავი ვიცოდეთ, რა არის ეს ოფორტები!

მეექვსე ლექსში პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ მიიწვია ნარგიზმა გოჟურ სადილათ.

მაგიდა ასუფრავდა და აჩანგალდა, მუთაქა ამუთაქდა, გაძღენ ჩყავე წვენით და შემდეგ ნარგიზა და არიმანი ერთმანეთს დაეკონენ.

მეტისმეტად საყურადღებოა, იშვიათის ხელოვნებით აწერილი.

წყალი რომ ადამიანს ათრობდეს, არც მინახავს, არც გამიგონია.

მაგრამ ჭეშმარიტ ნიჭს რა არ შესძლებია!

ასეთი ნიჭია არიმანი.

ამას ჰ ოწმობს მისი მეშვიდე ლექსი.

„სპარსეთის შაჰი მოვიწვიე ერთხელ პიკნიკზე, დავათვრე ისე ლექსის წვენით, რომ აბარბაცდა".

მერვე ლექსში დედოფ ლსა სძინავს, ჰპორგავს საბანს იხდის,—ქმრის ღალატი განუზრახავს და სიზმარშია ჯერ.

როდესაც გამოიღვიძებს, დიდის სიამოვნებით მოგახსენებთ, თუ როგორ აღბეჭდავს ამ გამოღვიძებას არიმანის შემოქმედება.

„ბევრი მინახავს ჩვენშიც, რომ
ჩვენებურს ყველას სწუნობდა,
სხვისას ჰბაძავდა გულდ გულ
და მხოლოდ მაიმუნობდა."

**ივ. გომართელი.**

# კოლექტივიზმი და ხელოვნება

დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ ის დიადი სოციალურ-რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში, გარადაქმნას უქადის კაცობრიობას. არსებული კაპიტალისტური-ეკონომიური ურთიერთობა შერყეულია და ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება მისი ზედნაშენებიც: ხელოვნება და სხ. კაპიტალისტური წარმოების ფორმის შეცვლას მოჰყვება ყველა მისგან გამომდინარე ელემენტების შეცვლა. ენგელსი ერთ თავის ნაწარმოებში ლაპარაკობს:—უკანასკნელი მიზეზები საზოგადოების ყველა ატრიბუტების შეცვლისა..., არის შედეგი წარმოების ფორმის (способа производства) და გაცვლა-გამოცვლის წესის

# მეგობარს

(მიჭუჭუნა გოგინეიშვილის ხსოვნას)

. . . შენ საქორწინოთ ეწყობოდი თითქოს თამამად
და ახალუხებს გიკერავდენ თეთრ ოქრომკედით,
დღეს კი დაჰყურებს შენს სამარეს მოხუცი მამა
და ველარ გათბობს შენი დედის მხურვალე მკერდი

რა დავაშავეთ? საზეიმო ყიჟინ ხმაური
რად შეჰკვეცვალა ასე ჩქარა ტანჯვად და გლოვად,
ვინ მოახვია შენს სიცოცხლეს მძიმე ტრაური
და შავ აჩრდილებს რა შემთხვევამ დაგაახლოვა?..

გქონდა სამშობლო ლამაზი და თავისუფალი
იყავ ამაყი და ვარგოდი მებრძოლად, მხედრად,
თუ ვინმე ჩვენსკენ პირს იხამ და შემბოჭავ რკალით,
სადარაჯოზე დადგებოდი პირველი მედგრად.

როს მაგონდება შენი ყოფნა, მოკლე და ჩქარი,
თეთრი კენჭები ჩემი თვალის უპეებს ავსებს,
შენ სისწრაფეში ვერ გჯობნიდა თვით ნიავქარი
და დღეს ორმოში, ბნელ ორმოში რა მოგათავსებს?

ვით შეურიგდე შენს დაკარგვას უცნაურს, უცებს,
ან შენზე ძლიერ ჩვენს გარშემო ვინ შემიყვარდეს?..

**ხაფო მგელაძე**

# კრიალოსანი

როდესაც ჩემი ოთახი მორკალა ლანდთა არიგებულმა ხროვამ; როდესაც გაყინულ მინებს შეეხო ჩუმი ქარის ჩუმი ალერსი, ვიცოდი:

მომაგონდებოდა ძველი კლეოპატრების ზვიადი შუქის სიმძლავრე და ოცნების მღელვარებაში შემაცურებდა:

ძველი ჟინის გახელება.

ასეთი იყო ბედი გუშინდელი ღამის, დაწოლისას.

მე ვლოცულობდი მადონას წინ ცხარი ცრემლებით.

არ მიფიქრია არასოდეს რომ:

გაყინულ ცხარ ცრემლებს, დაგორებულს ობლად ჩემს მკერდზე, კრიალოსნის მძივებად ავასხავდი.

ღამე ფერმკრთალი უცქეროდა ჩემ ფერმკრთალ სახეს.

ქარვათა სიცხე შემოიჭრა ჩემთან და გამხმარი ხელები ავამოძრავე.

თითო თითოდ ვასხავდი კრიალოსნის მძივებად ქარვებს, ჩემს წინ რომ ეყარა.

დასასრული არ ჰქონდა მათ: მე ვიღვრებოდი გაყინულ მძივებად.

ოთახში იდგა სუნი, ყვითელი და ცხელი.

და, აი, ავასხი პირველი კრიალოსანი ჩემის პირველი ცრემლების.

და მოგაწოდე შენ, ჩემი ჟინით ატაცებულს.

ეს იყო პირველი საჩუქარი, ცრემლებად დამდნარი, გაყინული:

ცხელი ქარვები!

**კაიუს პელი.**

შეცვლისა,— რომელიც ადასტურებს ჩვენს ნათქვამს.

ამა თუ იმ სახელმწიფოში ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია სავსებით ან ნახევრად. ეს და სხვა მრავალი ფაქტი მოწმობს იმას, რომ დამდგარია ბურჟუაზიის ბატონობის და კაპიტალისტური წყობილების უკანასკნელი წუთები. ჩვენ არსებული კაპიტალისტური წყობილების გარდაქმნის წინაშე ვდგევართ. ის კოლექტივისტურ წყობილებად უნდა გარდაიქმნას.

ჩვენთვის, რასაკვირველია, ყველა ამის შემდეგ საინტერესოა, თუ რა მოელის ხელოვნებას, რა მოელის მას მომავალ კოლექტივისტურ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მომავალ სოციალისტურ წყობილებაში. სოციალიზმი და ხელოვნება, მათი ურთიერთობა,—აი რასაც გვინდა ჩვენ მოკლეთ შევეხოთ.

I

თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგებს ხელოვნება ბურჟუაზიული წყობილების გარეშე, სადაც გაბატონებულია კერძო ინიციატივა და კერძო საკუთრების პრინციპი, შეუძლებლად მიაჩნიათ. ერთი მხრივ ეს ადვილი ასახსნელია, რადგანაც ბურჟუაზია, როგორც გაბატონებული კლასი, მიჩვეულია ხელოვნების მონოპოლიურ სარგებლობას. თუ მოვიგონებთ წარსულ ეპოქებს, დავინახავთ, რომ ხელოვნებით უმთავრესად სარგებლობდენ გაბატონებული კლასები. ხელოვნების წარმომადგენლებიც უმთავრესად მათგან გამოდიოდენ და მათ ემსახურებოდენ. ფეოდალურ ხანაში, მაგ. იყვნენ კარის მგოსნები, მეფეების და ვასალების მუსიკოსები და მხატვრები. როდესაც ფეოდალიზმის შემდეგ განვითარებას იწყებს კაპიტალიზმი და ძალა-უფლებას ხელში იღებს ბურჟუაზია, ხელოვნების ყოველივე დარგი: პოეზია, მხატვრობა, მუსიკა და სხ., გაჟღენთილია ბურჟუაზიული სულით. მხოლოდ მეოცე საუკ. შუა რიცხვებიდან, როდესაც კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვა მუშათა კლასის გაჩენა და როდესაც ამ კლასმა მიიღო ასე-თუ ისე გარკვეული სახე, ჩვენ – მუშათა წრიდანაც ვხვდებით ხელოვნების წარმომადგენლებს თითო-ოროლას, მაგრამ ეს ხომ წვეთი იყო ზღვაში. მათ არ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებაზე და ხელოვნება კვლავ გაბატონებული კლასების საკუთრებად დარჩა; მუშათა კლასი, დაბეჩავებული კაპიტალიზმის უღელის ქვეშ, მოკლებული იყო ხელოვნების ყოველ დარგს. ყველა ამას მიჩვეულ ბურჟუაზიას შეუძლებლად მიაჩნია ხელოვნების არსებობა თავისი ბატონობის და კაპიტალისტური წყობილების გარეშე. ბურჟუაზიის იდეოლოგები მუდამ გაიძახიან, სოციალისტური წყობილების დროს ხელოვნება განადგურდებაო. ვითომ „შეუგნებელი მასიდან“ (იგულისხმება მუშათა კლასი) ისინი იცავენ ხელოვნებას. მათ ძლიერ აწუხებთ ის, თუ რა ბედი მოელის კოლექტივისტ მატერიალისტების საზოგადოებაში პოეტებს, არტისტებს, ფი-

# ქარხანაში

გუ-გუ-გუ გუ, გუ-გუ-გუ-გუ, სჭექს ურო და გრგვინავს გრდემლი,
შრომის შვილი სჭედავს რკინას, ტანჯულ თვალზე შრება ცრემლი,
და სიცოცხლე იწვის-დნება, იწვის-დნება და კვლავ ბოწყინვა,
ჩაუმქრალი ცეცხლი ღვივის, ცეცხლის ალი მიმოფრინავს.

და ყოველთვის, ცისმარე დღე თხზავს ქარხანა ბრძოლის ჰანგებს,
ძლევის კილოს ჯავშნით სალტავს, ახალ სიტყვას აფოლადებს,
შოპენი და ბეთხოვენი იკარგება დღეს მის ხმაში,
ყურადღებას იპყრობს მხოლოდ გრდემლის რეკვა, ცეცხლის მარში.

და ტრიალებს ბედის ჩარხი, ორთქლი ბრუნავს, მილი ბღავს,
საყვირის ხმა სივრცეს არხევს, ცას სწვდება და მიმოსობლავს,
ჟამი ჰკივის და მის კივილს უერთდება გმინვა ქვაბის,
სიმფონიათ იფანტება ყოფნა ახალ დასაბამის.

გუ გუ-გუ გუ, გუ გუ-გუ-გუ, გამდნარ რკინას ცეცხლი ლვენთავს,
შრომის შვილი ჩაქუჩსა სცემს, ოფლი სდის და სისხლი სწვეთავს,
ხმაურია დაუმცხრალი:—ქურა ქშინავს, ქურა მღერის,
აქ სიმბოლო ისახება მომავალი ბედის წერის!..

ბესარიონ პელაშვილი.



რეჟისორი ალ. წუწუნავა.
ამჟამად მოსკოვის დრამ. სტუდია
შია მიწვეული.

* * *

(ჰალმინისა)

ნუ სტირით იმათ, ვინც იარაღით ხელში დაეცნენ ბრძოლისა ველსა.
ნუ უგალობთ მათ სიკვდილის ლექსებს, მათ წასაპიწლად ნუ დაღვრით ცრემლსა.
მკვდრებს არ სჭირდებათ ჰიმნი და ცრემლი: იმათი ხათრი თუ გაქვთ გულს შინა,
გადააბიჯეთ იმათ გვამებზე, და მათი დროშაც გიძღოდეთ წინა.
და იმათ მტრებთან მათი დროშის ქვეშ განაგრძეთ ბრძოლა გამუდმებული...
ეს არის მათი პატივისცემა, უფრო საკადრი და ღირსეული!

ალ. ფერაძე.



დრამატურგი სიო ჰანტურიშვილი.
სწერს ახალ პიესას.

ლოსოფოსებს და სხ. იგინი: გაიძახიან „როგორ შეუძლია კოლექტივისტურ საზოგადოებას შეფასება და უზრუნველყოფა აზროვნების ფილოსოფიურ მუშაობისა! ნუ თუ შეიძლება ადმინისტრატიული გზით დაწესება გონებრივი მუშაობის რეგლამენტაციის? ან დაუმორჩილო ის რვა საათის სამუშაო დღის კანონს და უბრძანო მომავალ Yictor Hugo ს, რომ მიეცეს პოეტურ შემოქმედებას 7 დან—9 საათამდე დილისა, როგორ შეიძლება ამის შეფასება? მაშინ, როდესაც გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის თანამგზავრი, ნუ თუ შეეძლო რომელიმე კოლექტივისტურ ადმინისტრაციას ცოდნოდა, რომ ამის აღმოჩენა დიდ დახმარებას გაუწევდა კაცს გეოგრაფიულ რუკების სისწორით შედგენაში და ამით შეამცირებდა ზღვაში გემთა დაღუპვის რიცხვს? რომ ყველა ადამიანისთვის საჭირო ყოფილიყო დილიდან საღამომდის ჩაქუჩით ხელში გრდემლთან დგომა ან გუთან-ცულით მინდორში ყოფნა, საიდან გაჩნდებოდენ: სოკრატე, არქიმედი, დანტე, შექსპირი და რუსთაველი? მათი აზრით, როგორც ლაპარაკობს ცნობილი მარქსისტი ვანდერველდე, მომავალი კოლექტივისტური საზოგადოება იზრუნებდა მხოლოდ „კაპუსტის“ დარგვაზე და სრულიად დაივიწყებდა ვარდის დარგვას.

ai, როგორ მსჯელობენ ისინი და მთელი მათი მსჯელობიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: კაპიტალისტური წყობილების შეცვლა კოლექტივისტურათ და მოსპობა მისაკუთრების კაპიტალსტური წესისა, ეს არის განადგურება ხელოვნების.

მართლაც, საქმე რომ ისე იყოს, როგორც მათ ჰგონიათ, შეიძლება ასე მომხდარიყო. მაგრამ არა! აი, რას ლაპარაკობს იგივე ვანდერველდე: „ავტორიტარული კოლექტივიზმი, რომელიც მოინდომებდა შექმნას გონებრივი შრომის ეკონომიური და ადმინისტრატიული ორგანიზაციისა, მსგავსად ფიზიკური შრომის ორგანიზაციისა, ძირშივე ჩაახშობდა ყოველგვარ სულს გამოგონებისა (дух изобретательности. ჭ. ძ.), შეაჩერებდა ყოველგვარ წყაროს სოციალური პროგრესისა და თვით ეკონომიურ პროგრესსაც“.

მაშ რაშია საქმე? ამაზე შემდეგ.

ჭ. ძველაია.

## „ქანდაკება“

**ახალი პიესა არჩილ ჯაჯანაშვილისა (გარდელის) სახალხო თეატრის სცენაზე.**

ძნელი ასახსნელია და არა გვგონია, ვინმემ ითავოს იმის ახსნა-განმარტება, თუ რატომ იდგმის ახალი ქართული ორიგინალური პიესა სახალხო თეატრის სცენაზე და არა ჩვენს აკადემიურ დრამის თეატრში. ეს მით უფრო ძნელი გასაგებია, რომ ფაქტიურად ჩვენ ერთადერთი თეატრი გვაქვს,

## მარეხ-ვარსკვლავი

(ლეგენდა).

ლამაზი იყო საქართველოს დედოფალი. შორეულ მხრიდან, ოქროს მტვრით დაფიფქილმა შავმა ზანგმა მოუტანა დედოფალს ოქროს მძივით მოქსოვილი გული.. და იგივე ზანგი უამბობდა დედოფალს ოქროს გულიდან ამოღებულ ზღაპარს. მეტად მხიარულ დედოფალს—სიცოცხლე-ზღაპარი უყვარდა, მგრძნობიარეს კი ტკბილი განცდები..

საბრალო ზანგი!.. ველარ ეღირსა სამშობლოს, ობლად დაიმარხა შორეულ მხარეს...

თავი მოჰკვეთეს... და სიკვდილის ჟამს ღიმის არშია ევლებოდა მის გამძლარ ბაგეს; ეს თუ იყო ნაამბობი ზღაპრის უკანასკნელი ბგერა?!..

დაორსულდა დედოფალი; ეყოლა ქალი. განრისხდა მეფე, მიმოგრიხა გულის ჯავარი და ბრძანა: ცოცხალი დაემარხათ პირმშო.

დედოფლის დობილებმა მოიპარეს ძუძუმწოვარი და მთიულეთის მიუვალ მონასტერს შეაფარეს...

***

მაღალ მთის თოვლიან მწვერვალოს ნისლი მოეხვია დილის რიჟრაჟმა მიტკლის ფრად შეღება იგი, მაგრამ მწვერვალო მაინც უჩიხარი იყო. გარს შემორტყმული ჟანგის ალმასები წელს უმშვენებდნენ და ასე სდარაჯობდნენ მის საიდუმლოებას. თოვლის ხავერდი ჩახუტებოდა ოქროს ქვიშნარს; ნაპრალთ შუაზე გადმონახეთქი ჩანჩქერი დაბლა—გრილოან უფსკრულში იმალებოდა. იქ, იმ მწვერვალოდან გამოცურდა არწივი; ფრინველთა მე ემ პირველმა მიღწია ლამე, ალყად შემოუარა მთის ხევებს და რომ ვერ ნახა სამეფოს მეტოქე, შეუპოვარის ყეფით აემართა ცის სივრცეს და ისევე შთაინთქა ნისლში..

მზე მაღლა წამოიხარა; ოქროს ფერი სხივებით ჩაქსოვა ამწვანებული ღელეები, ვეება შავი ღრუბლები, ტყიან ხევებს მიანარცხა. არყიან გორაკის შუბლზე მამალი ფსიტი გაიზმორა; მომართა ცხვირის ნესტოები, ჰკრა წიხლი მზის სხივებს და კუნტრუშით დაქანდა ჩადუნიანზე, სადაც ხავსმოკიდებული მონასტერი დილის ლოცვანსა კითხულობდა...

***

იქ, იმ მონასტერში იზრდებოდა დედოფლის ასული მარეხო. ობოლი იყო იგი და ობლად სრულდებოდა. მონადირისაგან დამფრთხალ ნადირს ჰფარავდა მარეხო, დაჭრილ-დაკოდილთ ჰკურნავდა. მისი სილამაზე დალირებულ ისარს მოჰკეცდა, პირს უკუღმა უბრუნებდა წმიდა ნადირზე მისულ მტერს. უწმინდური ცხოველი ერიდებოდა, ღვთის შეწირული ნადირნი კი თავისუფლად ლაღობდნენ მონასტრის გარემოს. წმიდათაწმიდა იყო იგი ალაგი, შორს გაისმოდა დიდება.

მარეხო მწიფდებოდა...

***

გავიდა დრო-ჟამი... დედოფლის ასულს, აქამდე სულით მშვიდს, სევდა ეწვია და იგი ნაღვლია-

სადაც თავმოყრილია და, ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება თავმოყრილი ყოველგვარი მიმდინარეობა ჩვენს სათეატრო ხელოვნებაში. მართლაც და, ჩვენ ისე ხომ არ გავზრდილვართ, რომ შეგვეძლოს რამდენიმე თეატრის არსებობას გავუძლვეთ, რომელთაც სპეციალური, განსაკუთრებული გეზი ექნებათ სათეატრო ხელოვნებაში; ჩვენში არ არის მომხდარი ის დიფერენციაცია მაყურებლის შეხედულებათა, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ასეთი განსაკუთრებული გეზის მიმდევართა თეატრის არსებობას. დასასრულ, ჩვენს თეატრს არ შეუქმნია ჯერ სავსებით გამოკვეთილი, ერთი აზრით გაერთიანებული, ერთი გემოვნების პატრონი, ერთი უდიდესი კულტურის მსახიობთა რაზმები, რომელნიც ასეთი განცალკევებული მიმდინარეობათა თეატრების იდეური მეთაურები და მებრძოლნი იქნებიან. არავინ უარჰყოფს, შეიძლება ცდა იყოს ამისა ჩვენს თეატრში, შეიძლება ჩვენი სტუდია ამზადებდეს ასეთ მებრძოლთ და ხელმძღვანელთ. მაგრამ სულ სხვაა ცდა, სულ სხვა მომზადების პროცესი და სულ სხვა ის, რაც ამჟამად არსებობს და რაც უთუოდ თავის დაღს და კვალს აჩნევს ჩვენი თეატრის ცხოვრებას.

გარდა ამისა, ჩვენ ხშირად გვესმის ჩივილი, რომ არ არსებობს ჩვენში ორიგინალური დრამატურგია, არ მოგვეპოვება კარგი ორიგინალური პიესები და სხ. და სხვ. ეს არც სავსებით მართალია. შეიძლება, ბევრი ახალი კარგი, ნამდვილი პიესა არ გაგვაჩნდეს, მაგრამ შეიძლება, მრავალ დაწერილ დრამატიულ ნაწარმოებთა შორის მაინც გამოირჩეს რამდენიმე კარგი ლაზათიანი პიესა. და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ რატომ უნდა ჰქონდეს დახშული კარი ამ პიესებს ჩვენს ერთადერთ დიდ თეატრში? არა გვგონია, საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ სწორედ თეატრი ახალისებს მწერლობას და იზიდავს თავისაკენ დრამატურგთა ყურადღებას, თუ კი თეატრი აქეზებს, ერთგვარ გასავალს აძლევს ორიგინალ დრამატურგიას. სუსტ პიესას თან მოსდევს უთუოდ უფრო ძლიერი, ყოველის მხრივ სრული პიესა და ამგვარად იქმნება ის ორიგინალური დრამატურგია, ის ორიგინალური რეპერტუარი, რომელიც თავის ელფერს აძლევს თეატრს და ერთგვარად ანსხვავებს ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, იაპონურ და, ვფიქრობთ, ქართულ თეატრსაც.

ჩვენში ჩვენს აკადემიურ თეატრს გააჩნია ის მატერიალური შესაძლებლობა, ის ძალა, რომელიც უზრუნველჰყოფს ახალ პიესის სათანადო შემზადებას, სათანადო მოვარაყებას—ეს მოვარაყება კი—თამაში იქნება იგი თუ გარეგან მოწყობილებაში, ეს სულ ერთია—განსაკუთრებით ესაჭიროება ორიგინალ დრამატურგიას, რადგანაც, ვიმეორებთ, იგი ჯერ კიდევ მტკიცედ არა სდგას ფეხზე, მტკიცე ნიადაგი არ მოუპოვებია ჩვენში. ეს მოვარაყებაა, რომ კარგ მხარეს ჩვენი ორიგინალური პიესებისას

---

ნი მარტოობას მიეცა. შეწუხდენ წმიდა ნადირნი, განშორდნენ მონასტერს, რომ მარტოდმარტო ყოფილიყო ქალ-ღმერთა, არ დაერღვია მისი საიდუმლო ზღაპარი.

და დარჩა იგი მარტოდ...

ობლად გლოობდა, რას?.. თავადაც არ იცოდა მარეხომ, ოღონდ სული მისი შფოთავდა—ვერ ისვენებდა; უნდოდა წასვლა შორს, შორს, მაღლა აფრენა...

მთის ჩუხჩუხა წყარო, ნელი სიო, პირბადრი მთვარე—ყველა ერთად საიდუმლოებდენ, ერთის გრძნობით იყვნენ ჩაქსოვილნი, ერთადა ბჭობდნენ დედოფლის ასულის ბედზე.

გადახვეწილი ნადირნი ილეოდენ, დაჭრილ-დაკოდილთ აღარა ჰყავდა მოწყალე. მშვენიერი ასულის მარტოობას ნადირნი თავის უმანკო სისხლს სწირავდნენ. შორს გაისმოდა შვილდ-ისრის ყეფა.

***

..ხევს ვალმა ნისლიდან აემართა ფრინველთა მეფე; ჩაბღუჯვილ კლანჭებით თეთრ ზოლს სტოვებდა ჰაერის სივრცეში. და იცნო დედოფლის ასულმა ჩიქილა, რომლითაც შვილის ნუკრს შეუხვია ჭრილობა. მშვენიერ ასულს კვნესა აღმოხდა; ნაღვლიანი თვალები არწივს მიაპყრო და ღონე-მიხდილი დაეშვა ძირს...

– „სიყვარული!.. სიყვარული!..“ იძახდა მისი მღელვარე გული და ვნების წყურვილით ითვრებოდა.

დიაღ, ეს სიყვარული იყო და მიხვდა მარეხო, რომ სხვაგვარი—ფერადი სიცოცხლე იყო მისთვის საჭირო...

დაღამდა.

დაეძინა დედოფლის ასულს და ნახა სიზმარი: წვალობდა. სძაგდა მიწაზე ცხოვრება. უეცრივ იჭექიქუხა ცამ, ყოველისფერი ერთმანეთში აირია, სიბნელემ მოიცვა არე, ცა დედამიწა ერთ-ურთს დაეჯახა...

მარეხოს უნდა დაიძახოს, მშველელს მიმართოს, მაგრამ ვერ იძახის, ხმას ვერ იღებს.

შორს, სადღაც ჯურღმულში გამოჩნდა შუქი; იგი მოახლოვდა და ნახა დედოფლის ასულმა ჭაბუკი—მეფე... ამაყი, ლაღი, ძლევა-მოსილი.

იგი დაეშვა ძირს, მოეხვია მშვენიერ ასულს, ღონივრად ჩაიკრა სიცოცხლით სავსე მკერდში და ისევე ძლევამოსილებით აემართა ზეცას... მეფე მიფრინავდა სატრფოსთან ერთად, ჰკოცნიდა სატრფოს, მარეხო კი უამბობდა მას ობლობის ზღაპარს:

გასწი!.. გასწი!.. წავიდეთ, იქ, სადაც თავდება სამყარო,—ეშუდარებოდა დედოფლის ასული მეფეს და კოცნით უფუავდა სულს.

ეშხით დათვრალი მეფე გონებას ჰკარგავდა... ცოტა ხანიც და მარეხოს დაჭიმული მკერდი მოუდუნდა—მიიცვალა აბობოქრებულ ვნების ტალღებში და დაქანდა დაბლა უფსკრულისაკენ...

ქალმა შეჰკივლა .. გამოიღვიძა.

შეშინებული თვალები მონასტრის კედლებს მიმოავლო, და... მიხვდა, რომ ყოველისფერი ეს

უფრო წინ წამოსწევს და მსმენელს მოჰხიბლავს; ამ ხელმძღვანელობამ ჰპოვებს ჩვენი ჯერ კიდევ გამოუკვლელი დრამატურგი თავისათვის საჭირო გაკვეთილს და სათანადოდ შეასწორებს პიესათა ნაკლს.

ესეც არ იყოს, ხომ არსებობს ჩვენში მრავალი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი თუ ოჯახური ცხოვრებისა, რომელიც გამოხმაურებას ჰპოვებს ან უნდა ჰპოვებდეს ჩვენს ლიტერატურაში და, სხვათა შორის, დრამატურგიაშიც. რატომ არ უნდა ალინუსხოს და სათანადოდ არ უნდა იქმნას გაშუქებული ეს მხარეები ჩვენი ცხოვრებისა? რატომ არ უნდა მიეცეს მსმენელს საშუალება იხილოს თეატრში ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ლიტერატურული ტიპები? ნუ თუ ამ ტიპებს უფრო ნაკლები ღირებულება აქვთ, ვინემ თუნდ „ცისფერ ოზოზას"?

მით უფრო გაუგებარია ის, რომ პიესა, რომელსაც აქვს ყველა ღირსება პიესისა, თავშესაფარს და გულუხვ მასპინძლობასა ჰპოვებს არა ჩვენს აკადემიურ თეატრში, არამედ სახალხო თეატრის სცენაზე. ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა რაიმე მოვაკლოთ სახალხო თეატრის ქართული დრამის ღირსებას,— ყველას კარგად მოეხსენება მისი ღვაწლი და მნიშვნელობა. მაგრამ ყველას მოეხსენება ისიც, რომ იგი არ არის ისე მოწყობილი, ისე უზრუნველყოფილი არტისტიული ძალებით, რომ უნაკლოდ შესძლოს ახალი ორიგინალური პიესის დამძლევა და წარმოდგენა. ხოლო სწორედ ორიგინალურ პიესას ესაჭიროება უღრესად სიყვარულით მოპყრობა და განსაკუთრებული შეზადება მოწყობა.

არა გვგონია, ორი აზრი არსებობდეს ჩვენს მწერლობაში, მსახიობთა შორის და თვით რეჟისორთა წრეში ც არჩ. ჯაჯანაშვილის ახალი დრამატიული ნაწარმოების შესახებ, რომელსაც „ქანდაკება" ჰქვიან სახელად და რომელიც იანვრის ბოლო რიცხვებში პირველად იქმნა ქართულ სცენაზე დადგმული სახალხო თეატრის ქართული დრამის მიერ.

ცხოველი თემა, რომლის წყაროსაც ჩვენი ჯერ კიდევ გარდაუქმნელი ცხოვრების ურთიერთობანი შეადგენენ, დიდი დრამატიული ნაკვი, მოქმედების განვითარების დინამიურობა, კარგი, ლამაზი ქართული ენა—ისეთი ენა, რომელიც უნდა ისმოდეს სცენიდან,—აი, ნუსხა იმ თვისებებისა, რომელნიც ახალ პიესას უსათუოდ გამარჯვებას უმზადებენ, თუ კი, რა თქმა უნდა, ეს თვისებები სათანადოდ იქმნება გადაშლილი და გაშუქებული სცენაზე დახელოვნებული მსახიობის მიერ.

—

კაპიტალისტურმა ხანამ თავისი ძალი დაასვა ოჯახურ ურთიერთობას, სკოლას; მან თავისი შეხედულებები გაამეფა აგრეთვე ხელოვნების სფეროშიც. მხატვრის აღტყინება, ხელოვანის გატაცება და შემოქმედება უნდა დაემორჩილოს ცხოვრების მოთხოვნილებას—ხოლო კაპიტალისტური ცხოვრე-

---

მხოლოდ სიზმარი იყო... სიზმარი ტკბილი და სანეტარო.

სიცალიერე ირგვლივ, კვლავ სიმარტოვე და სიობლე. სევდამ მოიცვა მარეხოს მთრთოლვარე გული; ქალწული სიყვარული რომ კვდება ცხოვრების მორევში, ასეთი იყო მისი შინაარსი...

შეაჟრჟოლა დედოფლის ასული, ზეზე წამოდგა.

შავ ფართალში შეხვეული მონასტრის სვეტს მიეყრდნო და ნაღვლიანი თვალები საიდუმლო თაღებს მიასვენა...

მწარე სინამდვილით დავრდომილს მოესმა მწუხობრი ჰანგები.

მონასტრის ბერი ხურო უმღერდა მშვენიერ ასულს ვნებათა სიკვდილის ჰიმნს.

ვიწრო სარკმელში მოტეხილი შუქი ქანგიან ჩუქურთმებში დნებოდა და მშვენიერ ასულს სიცოცხლეს სიტკბოებას ჰპირდებოდა. არ უნდოდა მარეხოს, რომ ეს სიზმარი ყოფილიყო, უნდოდა ცხადლივ, ცხადლივ ეხილა იგი სიზმარი; გამოიჭრა გარედ, შესდგა ფრიალო კლდეზე და თმაგაშლილი მიეცა სიოს ნებას... უკანასკნელ ჟამს, მის შავ სიკვდილის ზმანებით გამძლარ თვალებში, ქვეყნის სიცარიელე ალიბეჭდა და მარეხოს ბოლო ამოძახილი კი შურთხების ჟრიამულს შეუერთდა...

***

ფრენის მოტრფიალე მარეხო ზეცისკენ წასულა; იქიდან თურმე დღესაც კამკაშით, მარტოდ—ობლად დაჰყურებს თავის ძველ მონასტერს...

ანგელოზები რომ ცაზე მღერას დაიწყებენ, ჩიქილა დროგამოშვებით გამოჩნდება, თავს მოუყრის მრავალ ვარსკვლავთა კრებულს და უამბობს ქვეყანას მარეხ ვარსკვლავის ზღაპარს. ამბობენ ვითომ: ბულბული მაშინ დაიწყებს, ცოდვილ მიწაზე, მღერას და... ამ ჰიმნში ქსოვს იგი ცა-დედამიწის კავშირს. მთელი ქვეყანა სდუმს.

ამ დროს მხოლოდ ბულბული, ბულბული აღვივებს ქვეყნის გულში დამწვარ სიყვარულის ღადარს...

...არწივს მარეხო ჰყვარებია; მისი აჩრდილი დღევანდლამდე უღრან ჭალაში სცხოვრობს; იგი ახლაც დაეძებს თავის სატრფოს და მრავალი წლებით იმედმოქანცული, გულსაკლავად შეძახის ოლ ოლის სახით ძველი მონასტრის ნანგრევებს...

...მონასტერი იგი, ახლა ცარიელია, იქ მხოლოდ შემოდგომის ნამქერი ტრიალებს და მის ჩამონგრეულ კედლებში მთის და მფრთხალი ნადირი აფარებს თავს

.. დრო გავა და ჩალმეთის მთის ტატნობზე მგზავრი გამოდგება, თუშეთიდან მოტაცებული ქალით. გადმოხედვენ დაშლილ მონასტერს და იქ ნახონ ჯიხვის თასებით ნევე-დედოფლის სადღეგრძელოს დალევენ.

არ დაივიწყებენ არც ულაშქროდ დახოცილ ვაჟებს და შენდობით მოიხსენიებენ, შავი ზანგის მასპინძლობით, საქმის წასულ,—სიყვარულისთვის თავგანწირულ ჯეელებს.

**რ. მურთაზაშვილი.**



**აკაკი ფალავას დრამატიული სტუდია**

აწ სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტი, გ. მიქელაძის თაოსნობით დაარსებული 1922 წ. შუაში სხედან: აკაკი ფალავა, მ. ქორელი, კ. მარჯანიშვილი, ა. ახმეტელი, ახმეტელსა და მარჯანიშვილის შუა სდგას გ. მიქელაძე, დანარჩენი—სტუდიელნი: მ. მრევლიშვილი, მ. ბერიაშვილი, ა. ძერაბაშვილი, ხ. ჭიჭინაძე, პ. მურღულია, ა. ალექსი-მესხიშვილი, ი. თუთბერიძე, ა. თოხაძე, კ. გარსიაშვილი, ლ. ციცაგი, ნ. ბაქრაძე, ნ. დოლიძე, ე. თოფურიძე, თ. წულუკიძე, ა. ავალიანი თ. ტარკაშვილი, ია ქანთარია, ვ. ცხვეტიანი, ლორია, ს. სულაკაური, ვ. გოძიაშვილი, პ. კანდელაკი, გ. ხელაია, შ. ჩხეიძე, დ. აბაშიძე, ალ. მაღლაკელიძე, პ. კიბახიძე, ალ. ფალავა, ა. ხორავა (ეხლა არ ირიცხება), შ. ჩანგალაძე, კ. კედია, პ. ბერაძე. აკლია: ქებაძე, დ. მელაძე, ნ. ჭათიკაშვილი, ნ. ინასარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სათეატრო ინსტიტუტს

მეშჩანურ სულებს აყირავებს ჩანგი აპკელი,
ფსიხოლოგოსი გაითქვიფა, და კაპანელი
ყარაჩოღელი მენავეა ნივმას ჭერაში,
ლურჯი სულები გადაჭქანცა გზების ძებნაში...

გალაზლანდარდა სახის ღარები ისე იაფად,
რომ თვითეული გადაიქცა ცხოვრების დაფად,
სახე დასერა, როგორც გლეხმა სახნავად ველი,
გუთნის დედათ გადაქცეულა დღეს ახმეტელი.

ფიგურები ჩამოყალიბდა რითმიულ ცეკვით,
უხეში წელი მოიზნიქა, გველურის გრეხვით,
ყოველი კუნთი ათამაშდა, აკრო გალობით,
ოლგა შულგინას, მანიონის, ქლენტის წყალობით.

ხმა გაიწმინდა, ხელთათმანი აღარ აცვია,
სატოლუმბაშოდ ის გაკაჟდა და ვიბრაცია
შიუკაშვილმა ჩამოასხა ოქროს მათრათში,
რომ „ბრინჯაო" ვერ ირჩეოდეს ერთები ათში.

ესპადრონები გადადიან ხელიდან ხელში,
მაჯა გაიქნა, აღარაა დღეს ის უხეში;
ვერცხლის წყალია თვითეული, კოხტა და კარგი,—
დიდებულიძე აქანავებს, ჩვენი გიორგი!

სადარაჯოზე არწივია, ფრთებ-აწეული,
მკერდით იფარავს თავის ბუნაგს და ათეული
ერთი მეორეს ეუბნება: „წადი რაღა ვა!..
ნუ გეშინიან, აკაკია, ჩვენი ფალავა"...

**მუშა გოგია (გ—ძე).**

---

ბის მოთხოვნილება კი ერთია—ფული, ფული. ოჯახს სჭირდება ფული—უკეთესი ბინის მოსაწყობად, საზღვარგარეთ მოგზაურობისათვის, კარგად ჩაცმა-დახურვისათვის. დასასრულ, სიმდიდრეც ჰქმნის სახელს და პატივს, დიდებას. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა და ესაა სწორედ წყარო იმ დრამის, რომელსაც გვიშლის ჩვენ ავტორი „ქანდაკება"-ში.

მოქანდაკე ლევანი (ლითანიშვილი) და მისი მეუღლე ნინო (ლორთქიფანიძე)—აი, ორი დასაბამი, რომელთა შორისაც სწარმოებს ბრძოლა. პირველი გატაცებულია შემოქმედებით, იგი დარწმუნებულია, რომ ამ შემოქმედებით დაიპყრობს საზოგადოების ყურადღებას. დროებითი მარცხი,—პრემია გამოფენაზე სხვას არგუნეს,—უკრო სწაფავს მის შემოქმედებას, რომელმაც ის-ის იყო გადაუხ ია თავის გზას და ხელოვანს ხელოსნად გარდაქმნას უქადდა.

სულ სხვანაირად უდგება საკითხს მოქანდაკის მეუღლე ნინო. მას უყვარს ქმარი, უყვარს თავისებურად და ეს თავისებურობა მასში აღზრდილია ალბათ წრის, ოჯახის მიერ, რომელშიაც იგი ტრიალებდა და ტრიალებს. ქანდაკების მაგიერ—ბიუსტი შეძლებულ კომერსანტისა, შემდეგ კიდევ ბიუს-

## ჩვენი მხატვრები



**მხატვარი დ. ქუთათელაძე.**

სრულიად ახალი ყაიდის, თავისებური ყალმის ოსტატია ჩვენი ახალგაზრდა მხატვარი დავით ექვ. ქუთათელაძე (დაიბ. 1901 წ. ფოთში). უკიდურესი რეალიზმი და სიმბოლიზმი შეხმატკბილებულია მის ყოველ ნახატში.—ღარიბმა, დედ-მამით ადრე დაობლებულმა ხონის გიმნაზიაში განაგრძო სწავლა პაპის დახმარებით და მასწავლებელ ივ. კუჭუხიძის ხელშეწყობით. მეხუთე კლასში ყოფნის დროს დახატა ხონის გიმნაზიის თეატრი, რის გამო ყურადღება მიაქციეს—სწავლის ფულიდან ათავისუფლებდენ. შემდეგ ქალაქის თეატრის ხატვას შეუდგა (დილით სწავლობდა გიმნაზიაში, საღამოთი ხატავდა). 1922 წ თავის ბიძაშვილთან—მხატვარ აპოლონ ქუთათელაძესთან ერთად ხატავდა ფოთის თეატრს. ამ თეატრის დამთავრების შემდეგ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა ხელოვნების მეცნიერების დარგზე, სადაც ახლაც ითვლება (II კურზე). ამავე დროს მიწვეულია თანამშრომლად ქურ. „მომავალ"-ში, „პლამია"-ში, „დროშა"-ში, „თეატ. და ცხოვ."-ში. ი. წ.



საუბარი ჰასთან. ნახატი დ. ქუთათელაძისა.

ტი ვინმე სხვა მდიდარისა—აი, წყარო ცხოვრებისა, რომელიც მიზნად დაუსახავს ნინოს და რომლისაკენაც იგი დაჟინებით იზიდავს ქმარს, შეიძლება, უფრო სუსტი ნებისყოფის პატრონს, უფრო მოლხობილს, შეიძლება, პრაქტიკულ ცხოვრებაში უფრო გამოუცდელს. აშკარაა, მათ შორის ბრძოლა სასიკეთოდ არ დამთავრდება, ეს ბრძოლა კი არის; მას თქვენ პირველი მოქმედებიდანვე, ნინოს პირველი გამოსვლიდანვე ამჩნევთ და, რაც უფრო ვითარდება და იხლართება დრამის ნასკვი, მით უფრო მწვავედ ჰკრძნობთ ამ ბრძოლას. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლის განვითარებას ერთვის დახასიათება სხვა და სხვა პირებისა, რომელნიც აგრეთვე ემსახურებიან ერთ მიზანს—ამ ბრძოლის გამოაშკარავებას, გაღრმავებას. მაგრამ ამაოდ შეეცდებით თქვენ ამ თავითვე განსჭვრიტოთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ბრძოლას. ავტორი ხელოვნურად რთავს ინტრიგის ქსელს და იმ ქსელში გახვეულია მსმენელიც. უარი სთქვა მოქანდაკემ კომერსანტთა ბიუსტების დამზადებაზე; მის ცხოვრების გზაზე გამოჩნდა ასული, რომელმაც ფრთა შეასხა მის ოცნებას და შემოქმედება გაუცხოველა, იგი ჰქმნის ახალ ქანდაკებას, რომელმაც უნდა მოჰხიბლოს ქვეყანა, ეს არის ქანდაკება ახალი ცხოვრებისა; დაიმსხვრა ნინოს იმედებიც, დაიმსხვრა ის ოქროს კოშკი, რომელსაც იგი აგებდა კომერსანტთა მიერ მათი ბიუსტების დამზადებისათვის გასამრჯელოთ გაღებულ ფულზე. იგი ამსხვრევს თავისი ქმრის ახალ ნაწარმოებს, მაგრამ ამ საბედისწერო ნაბიჯმა თვითონ იგიც იმსხვერპლა.

სქემატიურად ასეთია შინაარსი არჩ. ჯაჯანაშვილის ახალი პიესისა, რომელიც ვიმეორებ, დაწერილია საუცხოვო ფაქიზი ლიტერატურული ენით და ამ მხრივ მართლაც იშვიათს ნიმუშს წარმოადგენს იმისას, თუ როგორი ენით უნდა იწერებოდეს ნაწარმოები.

რა თქმა უნდა, ეს სქემა ვერაფერს მისცემს ვერც გრძნობას და ვერც თვალს. პიესა პიესაა და მას უთუოდ ესაჭიროება სცენის შუქი, რათა გამოცოცხლდნენ პიესის გმირნი, ამოძრავდნენ, ალაპარაკდნენ და შეჰქმნან რთული განცდა დრამატიული ნაწარმოებისა.

ამ მხრივ დიდი მუშაობა ხვდა წილად სახალხო სახლის ქართული დრამის რეჟისორს ივ. ბარველს, რომელმაც დასდგა ეს პიესა. ვამბობთ, დიდი მუშაობა ხვდა მას, რადგანაც არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის პირობები, რომელშიც უხდება აქ რეჟისორს მუშაობა (რეპეტეციები პატარა ოთახში, არა მუდმივი პროფესიონალი მსახიობები, ხელმოკლეობა სცენის მოწყობილებაში და სხ.) ყოველ ეჭვს გარეშეა, პიესის საერთო ტონს რეჟისორი სავსებით დაეუფლა; ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მრავალ მომქმედ პირთა ხასიათი მას სწორედ აქვს ასახული. მინ პირველად სცადა სახალხო სახლის სცენაზე ესარგებლა ე. წ. ტილოებით დეკორაციათა ნაცვლად. ეს სისტემა ყოველმხრივ მარჯვეა

# პატარა ფელეტონი

## სცენა

**„დურუჯის“ კორპორაციაში.**

(მონაწილეობს თითქმის ყველა დურუჯელი)

**მოქმ. I თეატრის კონტორაში.**

**ს. ახმეტელი** (თავმჯდომარე) ყმაწვილებო, მე არც ისე ახალგაზრდა ვარ, როგორც თქვენ გგონიათ, მაგრამ დაგერწმუნეთ მთელი ჩემის გადავარდნით, რეჟისორული ცეცხლით თქვენთანა ვარ მაინც და..

**თ. ჭ—ძე.** საშა, რამდენი წლის იქნები მაინც?

**ს. ახ—ლი.** Что за вопросы, у нас серезное заседаяие, а Вы?

**დ. ჩხ—ძე.** მამა ნუ წამიწყდება, ჩემხელაა მაგის ბიჭი.

**კ მარჯანიშვილი.** Господа, тише, რაღაც დეპეშაა... (უნდა წაიკითხოს) ოხ, ქართულად ყოფილა, წაიკითხე ჯიქია.

**ჯიქია.** (მდივანი, კითხულობს) „ნუ გაამასხარავებთ თეატრს, ნუ შებღალავთ მის მაღალ ღირსებას, ნუ **ვალ. გუნია**“.

**ლამბაშიძე** (მუშტების ქნევით). ოხ, ის შლამიან ჭაობიდან ამოტივტივებული კამეჩი.

**კ. მარჯანიშვილი.** Ах, свинии, я им всем покажу...

**ს ახ—ელი.** კაცო, საქმეზე ვილაპარაკოთ. ასეთი პროტესტები ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს, ჩვენ უფრო მეტი გადვიტანეთ იანვრის 29-ს.

**აკ ხორავა.** რა საქმე? ჩვენ მიზანს კიდევაც მივაღწიეთ, ჩვენმა პირველმა მანიფესტმა უკვე იფეთქა...

**კორიშელი.** მიზანს მივაღწიეთ... შენ რა გენაღვლება, ბიძია, ჩვენ „ჩეკაში“ გვიკრეს თავი, შენ კი „გოლოვინსკზე“ დასეირნობდი.

**ვ ჯიქია.** კაცო, საშინელი ყოფილა მაინც ეს „ჩეკა“. როგორ ძლევენ დიდხანს იქ?

**აკ. ვასაძე.** იქ რომ ერთ კვირას დავრჩენილიყავ, სულ ჩაქრებოდა ჩემში „დურუჯის“ სიგიჟე, შფოთობა, გოროზობა..

**ლამბაშიძე.** ფაფარაყრილ რაშზე კი არა, ზურგმოღლეტილ ვირზედაც ველარ შესძლებთ შეჯდომას არა?!..

**ს. ახ—ელი.** კაცო, დაანებეთ თავი ამ ვირს, საქმეზე ვილაპარაკოთ.

**ლამბაშიძე** ვირიცა ხარ და მეტიც.

**ს. ახ—ელი** შე, მართლა ვირო, შენთვის კი არ მითქვამს ვირი, ვირებზე ლაპარაკს თავი დაანებეთ მეთქი... (წამოდგება) მართლა არ ღირს თქვენთან მუშაობა.

**აკ. ხორავა** დაჯი, კაცო, საშა, შენ მაინც რამ გადაგრია; აბა, ყური დაუგდეთ, როგორ გადავაკეთე გუნიას დეპეშა: ყურს უგდებენ) „ყმაწვილებო, დასცხეთ, დიდიხანია მაგას ველოდი, მთელი ჩემი არსებით თქვენთანა ვარ. **ვ. გუნია**“.

**ყველანი:** კარგია, კარგი! ასე გავასაღოთ.

**დ. ჩხ—ძე.** კი გავასაღოთ, თუ ვინმემ დაგვიჯერა.—

და ამავე დროს განსაკუთრებით მოქნილი საშუალებაა სცენის დეკორატიულ დაწყობაში. მაგრამ რაღაც გაუბედაობის დაღი აჩნდა რეჟისორს ამ ტილოთა მოხმარებისას. ეს განსაკუთრებით შეეხება მეორე მოქმედებას. ესევე შეიძლება ითქვას მესამე მოქმედების შესახებაც. მართლაც და განა შეიძლება ტილოთა სისტემაში ისე სცენის აგება, როგორც ამას ივ. ბარველი სჩადის მეორე მოქმედებაში? რა საჭიროა ასე შორს გაწევა აივნისა, სადაც სადილობს ძლიერ პატარა ჯგუფი მოქმედ პირებისა და საიდანაც არა იმის რა დარბაზში? ნუ თუ არ შეიძლებოდა ამ აივნის წინ წამოწევა და უფრო შეზღუდვა ტილოთა საშუალებით: ამით მოიგებდა ორივე სცენა: სცენა აივანზე და აგრეთვე სცენა ლევანის და ელენეს ბაასისა (სცენის წინა ნაწილი), ამით ამოივსებოდა ის სიცარიელე, რომელიც უთუოდ ემჩნევა ამ მოქმედებას და ერთგვარ გულცივობას იწვევს მსმენელთა შორის. რა თქმა უნდა, ეს წვრილმანებია, მათი თავიდან აცილება არც ისე ძნელია.

ამ ხაკლთა, ასრულების სისუსტის მიუხედავად, სცენიურმა პიესამ მაინც თავისი გაიტანა: ერთხელ გამოწვეული ინტერესი არ შესუსტებულა მთელი საღამოს განმავლობაში. და ეს კი სწორედ ის თვისებაა, რომელიც უთუოდ კარგ პიესას ახასიათებს.

**პარდონ.**

# ენათმეცნიერთა საყურადღებოდ

**ტფ. მასწავლებლობას** აქვს ჩვენს დედაქალაქში ერთი ფრიად სასარგებლო და სიმპატიური თავშესაფარი. ეს გახლავსთ განათლების მუშაკთა სახლი. აქ არის მოწყობილი მშვენიერი წიგნთსაცავ-სამკითხველო და ორი დიდი, კოხტათ მორთული დარბაზი, სხვადასხვა თემაზე ლექციების და მოხსენების მოსასმენად.

ერთი ასეთი მოხსენება იანვ. 21 გააკეთა პროფ. შანიძემ შემდეგ თემაზე: „ქართული ენის კილოკავები“. პატივცემულმა ლექტორმა ბევრი რამ საგულისხმიერო გვიამბო ქართული ენის კილოკავებიდან, ბევრი ახალი ცოდნაც შეგვძინა, მაგრამ ერთი მისი დებულების მიღება ჩვენი სალიტერატურო ენის შესახებ შეუძლებელია. ეს დებულება შემდეგია: „კაცმა მოკვდა“, „მასწავლებელმა მოვიდა“, „ფურმა შევიდა ვენახში“, „გლეხს მოზვრები მოუდის“ და ბევრი სხვა ამგვარი პროვინციალიზმი პროფესორის აზრით სიმართლეა, ახალ სკოლაში დასაშვები და მათ განდევნას დიდის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთო, ამბობს პროფ. შანიძე. ამგვარი მოსაზრება პედაგოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მიუღებელია ჩვენთვის და დიდათ სასურველია დაწვრილებით, ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით, ასეთ თავის აზრს განმარტავდეს პროფ. შანიძე.

**მ. ბუაჩიძე.**

---

**ა. ხორავა.** (გადადებს დეპეშას) ეს ასე; ხო, იმას მოგახსენებდით: მიზანს უკვე მივაღწიეთ, პრესა და საზოგადოება ავალაპარაკეთ, დღეს ყველას „დურუჯი“ აკრავს ენაზე..

**დ. ჩხ—ძე.** (ბრძნულათ) უთუოდ დიდი მიღწევაა..

**აკ. ხორავა.** გამათავებიე სიტყვა, კაცო...

**აკ. ვასაძე.** რაღა მიღწევა, ძმაო! იმ ჩვენი „ყუმბარის“ შემდეგ სულ დამეკარგა თამაშის ხალისი... როლსაც ვეღარ ვსწავლობ, ცარიელი სკამებისთვის რატომ უნდა შევაწუხო თავი...

**ს. ახ—ელი** იცოდეთ, ესეც ჩვენი გამარჯვებაა... თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ ქართველ საზოგადოების კონსერვატორობას: ის ყოველივე ახალ გარდატეხას პროტესტით ეგებება, მაგრამ ბოლოს კი ყველაფერს ურიგდება, ასე მოხდება ეხლაც..

**კ. მარჯ—შვილი** Я поражаюс, почему не защищают нас в прессе Паоло, Тициан и другие наши..

**კორიშელი.** მართლა კაცო, რატო ისინი არაფერს სწერენ „ქათულ სიტყვაში“?

**ჯიქია.** ვინ კითხულობს ეხლა „ქართულ სიტყვას“! შენ გგონია იქ მოჩმახულ უნიჭო ლილისა და ვ. გარიკის რეცენზიებს ბევრი მკითხველი ჰყავს?!

**ლამბაშიძე.** (მუშტით) ოხ, ერთი თუ სადმე ჩამივარდენ ხელში ვადენ ორივეს ცხვირიდან ძმარს.

**ს. ახ—ლი.** ესეც დიდი მიღწევა იქნება...

**აკ. ვახაძე.** იოსებ იმედაშვილსაც რომ თან მიაყოლებდე, არ იქნება ურიგო.

**ჯიქია.** მართლა, კაცო, წაიკითხეთ „თეატ და ცხოვრება“! ისიც რომ ბედავს ჩვენს ლანძღვას?!

**ს. ახ—ლი** გვეყოფა, კაცო, ეხლა საქმეზე ვილაპარაკოთ რამე.

**აკ. ვასაძე** (საათში იხედება) კაცო, რა საქმეზე, სამი საათი სრულდება, მუცელს სულ წივილკივილი გააქვს, წავიდეთ სადმე სასადილოთ. (ყველას სახე გაუბრწყინდება).

**კორიშელი.** სად წავიდეთ?

**ხმები.** პიტნავასთან... არა, ავეტიქასთან.

**დ. ჩხ—ძე.** კი, მაგრამ ჯიბეში რამე გიჭყავით? ავანსის იმედი ნუ გაქვთ; ღმერთი არ გამიწყრეს, დედა არ მამიკვდეს კაპეიკს ვერავის მივცემ.

**აკ. ხორავა.** წავიდეთ, კაცო, ფული არაფერია, ვნახავთ ვისმე „გასაპარსავს“.

**ჯიქია.** მართლა, ეხლა აგერ სოლომონ ახვლედიანმა გაიარა, უთუოდ ის უნდა „ჩავსტრახოთ“ დღეს.

**კორიშელი.** წავიდეთ, მაგრამ ისიც გვერდზე გვიბლვერს ამ ბოლო დროს. (ყველანი გამორბიან).

**ს. ახ—ლი.** კაცო, მოიცათ სად გარბიხართ, ჯიქია დღევანდელი კრების ოქმი მაინც დასწერე?

(II მოქ. შემდეგ ნომერში ავეტიქასთან). **გრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე*)

**(1860—1924)**

ჩვენი ქვეყნის მოამაგეთა მცირე ბანაკს იანვრის 15 გამოაკლდა ერთი ღირსეული წევრთაგანი— თ. ხუსკივაძე, იგივე თ. კვალითელი, თარხანი და გლეხის შვილი.



დაიბ. 1860 წ. იან. 1 ს. კვალითში, შორაპ. მაზ. სწავლ. ქუთ. სასულ. სასწავლებელში, დაამთავრა გორის საოსტ. სემინარია 1881 წ. და დ ზესტაფონის ნორმალურ სასწავლებ-ში მასწავლებლობდა 14 წ. აქ ავრცელებდა ქართ. ჟურ. გაზეთებს, გახსნა პირველი წიგნის მაღაზია, სამკითხველო. 12 წ ქუთ. საოლქო სასამართლოში იმსახურა, —ამავე დროს ქართ. თეატრის წინსვლას ეხმარებოდა ყოველისმხრივ. იყო მარტვილის მომრიგებელ მოსამართლედ, დ. ოჩემჩირეს ნოტარიუსად,—აქ გახსნა საურთიერთო ნდობის ბანკი, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება, სამკითხველო, 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ რევ. კომიტეტის წევრად არჩეულმა, შექმნა ეროვ.-დემ პარტია, გახსნა კლუბი, სადაც კითხულობდა ლექციამოხსენებათ და აფხაზთა შორის ეროვნული თვითცნობიერება შეჰქონდა—სიტყვით და წერით. იყო ქუთ. საეპარქიო საბჭოს წევრადაც და ქართ ეკლ. ავტოკეფალობას დიდი ამაგი დასდო.

მწერლობა დაიწყო 1875—76 წ. „დროება"-ში. სემინარიაში სწავლის დროსვე დასწერა „შვილის აღზრდა"—სწავლა-აღზრდის შესახებ წერილები და ცალკე გამოსცა მისი მწერლობა მრავალფეროვანია: **ისტორიული მოთხრობანი:** ეკატ. ბატონიშვილი („კვ" 1893 წ. № 29—31), კონსტ ბატონიშვილი („ივ." 1902 წ. № 7, 11, 13—15), ალექსანდრე ბატონიშვ. (1902 წ. „ივ." № 262—68, გურიის მთავარი მამია V (1902 წ. „ივ" № 176—77), ლევან ბატონიშვ. (ცალკე, 1903 წ.), ქელეშბეი შარვაშიძე (1914 წ. „ირი" 13—21), ხასანბეგ თავდგირიძე („ჩვ. ქვ." 1918 წ.); **არქეოლოგიური:** ისტორიული და არქეოლოგიური აღწერა ყვირილის ხეობისა („ივ." 1891 წ., იგივე რუსულად—«Сб. мат. по оп. Кавк., изд. поп. ок. 1894 წ. XIX), მგზავრის შენიშვნები: რიონის ხეობა („ივ." 1891 წ. № 183—84); ქუთაისიდან ოჩემჩირემდე („კოლხ" 1912 წ № 78); **მოგონება-წერილები:** ეგ. ნინოშვილი („სამშ" 1916 წ. № 257—61), ქუთაისის ქართ. თეატრის წარსულიდან („იმერ." 1914 წ. № 139—42), ეკონომიური საუბარი კარიშევისა (თარგმ, 1898 წ. „მეურნე"); **პიესები:** საკუთარი—საგიჟეთში, მეფის მოღალატე- დიდი როსტომ ერისთავი, გაფიცვა; თარგმ.: ერნანი, განდეგილი (ჰიუგოსი), მამა, თვალთმაქცი ზღაპარი.

გარდა ამისა, ქართ. ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულია და ცალკე გამოცემული მოთხრობები, ეტიუდები, ესკიზები, რეცენზია-ბიბლიოგრაფია, მოგონებანი, შენიშვნები, გამოკვლევანი და სხ. დაახლოვებით 130-დე.

მთელი მისი ნაწერები სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულითაა გაჟღენთილი, მიზანი—მშობელი ხალხის გათვითცნობიერება, სარჩული—ეროვნულ-დემოკრატიულ მისწრაფების გაღვივება.

სამშობლო ქვეყნის წინაშე თავისი ვალი, მწერლობისა და საზოგადოებრივ მუშაკობის გარეშე, იმითაც მოიხადა, რომ მრავალ მოწაფის მამულიშვილმოქალაქედ აღზრდის გარდა, საკუთარი ექვსი ქალ-ვაჟი უმაღლესი განათლებით აღჭურვა.

ქუთაისის საზოგადოებამ დიდი პატივი სცა.

ჩვენი ქუთათური კორესპონდენტი ისო გვწერს:

„თეოფილე ხუსკივაძე დაკრძალეს იანვრის 20-ს საფიჩხიის სასაფლაოზე. წარმოითქვა მრავალი სიტყვა, რომლებშიაც მთქმელნი ახასიათებდხენ თეოფილის მრავალფეროვან მოღვაწეობას, განსაკუთრებით როგორც პედაგოგის და მწერლისას. ოთხი მოწაფე ქალიშვილი III ტეხნიკუმისა გულამოსკვნით დასტიროდნენ და ახასიათებდნენ თავიანთ აღმზრდელ მასწავლებელს პროზით და ლექსებში, რომლითაც მათ ცრემლი და ქვითინი გამოიწვიეს საზოგადოებაში. აქვე გძელი ლექსით გამოეთხოვა მას ყვირილიდან ვ ლვანკითელი და მასწ. ბ. კელენჯერიძე აჭარისტანიდან—ჩამოსულ მასწავლებლების სახელით—ბათომელი მასწავლებელი ილ. ჟღენტი. საკათედრო ტაძართან ახალგაზრდა მორწმუნეთა სახელით სიტყვა უთხრა სტუდენტმა აძემ, რომელმაც დაახასიათა განსვენებული, როგორც მორწმუნე ქრისტეს მცნებისა.

პროცესიას დიდძალი ხალხი გაყვა ყველა წრისა. საფიჩხიის სასაფლაოს გალავანში შემდეგი მოკლე სიტყვით გამოეთხოვა მწერალი ილია ჭყონია: „ღირსეულო მოკეთე—ე! ტფ მწერალთა კავშირის მონდობილებით ვეთხოვები შენს ნეშტს.

შენ პირნმთლად მოიხადე ამ ქვეყნად ვალი მასწავლებლობის, მამობის, მოქალაქის და მწერლის. ეკლიანი იყო შენი გზა ცხოვრებისა, მაგრამ შენ იგი პირნათლად და მხნედ განვლე.

მარადის იყოს შენი ხსენება ჩვენ შორის!"

**იოსებ არიმათიელი.**

*) ცნობები ამოღებულია იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-დან (ხელთნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მწერალ-მოღვაწენი

## იერემია გულისაშვილი

ცენტრში, სადაც კულტურული ცხოვრება დუღს და გადმოდის, ინტელიგენციას მეტი სარბიელი და გასაქანი აქვს. ამიტომაც არის, რომ სოფელს ნაკლებათ ეტანებიან სოფელს კი უფრო მეტად ესაჭიროვება კულტურული ძალები, ნამდვილნი გულშემატკივარნი ხალხის და ძვირფასია ისეთი მოღვაწე, რომელსაც ცოდნა და შესაძლებლობა აქვს მოეწყოს ქალაქში, მაინც რჩეობს სოფელს დაუბრუნდეს და მისი ჭირ-ვარამისა და სიხარულის მოზიარე იყოს.



**იერემია გულისაშვილი.**

ერთი ასეთი გულწრფელი მოღვაწეთაგანია დამსახურებული სახალხო მასწავლებელი და მწერალი იერემია გულისაშვილი. იგი 35 წ. ემსახურება ხალხის გათვითცნობიერებას და რამდენიმე ასეული მოწაფენი მისნი ამჟამად ცხოვრების სარბიელზე არიან გამოსულნი ძვირფასი—ცოდნის იარაღით აღჭურვილნი.

იერემია გულისაშვილმა დაამთავრა სამასწავლებლო ინსტიტუტი 1888 წ სამ წელიწადს ზუგდიდში მასწავლებლობდა, შემდეგ მოიწვიეს ტფ. გერმანელთა საზოგადოების სასწავლებელში, სადაც დაჰყო 25 წ., რომლის შემდეგაც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით გაემგზავრა აჭარაში სკოლების მოსაწყობად. ამ დავალების შესრულებისათანავე იგი დაუბრუნდა თავის სოფ. საგარეჯოს, სადაც სათავეში ჩაუდგა მაშინდელ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს (ამჟამად 4 წლიან შრომის სკოლად გადაკეთებულს) და დღევანდლამდე ენერგიულად უწევს ხელმძღვანელობას ამ სკოლას, რომლის მეოხებითაც სასწავლებელი სათანადო სიმაღლეზე სდგას.

იერემია გულისაშვილის მოღვაწეობა მარტო მასწავლებლობით არ ამოიწურება,—იგი სახალხო თეატრის თვალსაჩინო წევრი იყო და ავჭალის აუდიტორიაში, როგორც რეჟისორი, ორ წელიწადს ხელმძღვანელობდა დასს. გარდა ამისა, იერემიამ, როგორც დრამატურგმა, დასწერა ორი პიესა. „დრონი მეფობენ“ და „ცხოვრება ბრძოლაა“. თავის დროზე ამ პიესებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პიესებში დაგვიხატა მკვდარი თავად-აზნაურობის ტიპები, რომელთაც ნიადაგი გამოეცალათ, ცხოვრებას ვერ აუღეს ალღო, ცხოვრების ბრძოლაშიაც დამარცხებულნი დარჩნენ და ასპარეზი ცოდნით აღჭურვილ, ხალხის წიაღიდან გამოსულ მშრომელთ დარჩა.

საგარეჯოს რაიონის მასწავლებლობამ განიზრახა ამ თავის უფროს ამხანაგი სსაპატივსაცემოთ ამა წლის მარტის 9 ს საგარეჯოს სახალხო თეატრში გადუხადოს იუბილე და ამით გაამხნევოს მოხუცებული, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლიან ხალხის საკეთილდღეოთ.

ვინც კი იცნობს იერემიას, ვისაც კი გათვალისწინებული აქვს მნიშვნელობა სახალხო მასწავლებლის და მოღვაწის, ჩვენთან ერთად მიესალმება ძვირფას ადამიანს და მორალურის თუ მატერიალურის დახმარებით აგრძნობინებს მოხუცს, რომ თავდადებულს შრომას აფასებენ და ეს კი ისედაც ენერგიულ პიროვნებას მიუმატებს ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც მოხმარდება ჯერ კიდევ ბნელეთში მყოფ ჩვენს ხალხს.

**მასწავლებელი.**

# რეცენზიები

**სახელმწიფო ოპ. თეატრში.** დეკემბრის 30 ტფ. რკინის გზის სტამბის ასოთ-ამწყობთა თაოსნობით და მთელი ტფ. მუშათა მონაწილეობით 25 წ. სამწერლო მოღვაწეობის იუბილე გაუმართეს მუშა-მწერალს გიგო ხიჩუაშვილს. „ხალხური მწერლობის და გიგო ხიჩუაშვილის შემოქმედების“ შესახებ სიტყვა წარმოსთქვა იოსებ იმედაშვილმა, შემდეგ თ. ნასიძის რეჟისორობით ფ. ტელ. სცენისმოყვარეთა წრემ წარმოადგინა იუბილიარის პიესა „მუშა მგოსანი“ (იოსებ დავით. ცხოვ.) პიესამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

საზეიმო განყოფილებაში გიგო მუშა-მწერლებმა გამოიყვანეს არაჩვეულებრივი ეშხით:—ზურნით მოსდევდნენ, სცენაზე სიმღერით შეიყვანა შაქრო ხატიაშვილის ქალ ვაჟთა გუნდი და საზანდარი შეგებება იყო გულწრფელი და ზეაღმტაცი მუშა ხალხმა თბილის გრძნობით დააფასა თვისი საყვარელი მომღერალ მოჭირნახულე. მიულოცეს: საიუბილეო კომიტეტის სახელით—იოსებ იმედაშვილმა (მიართვა „ვეფ. ტყაოსანი“), გაზეთ „კომუნისტი“ს და ჟურნალისტების სახელით ვანო ბუჩიძემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ს და მუშკორების — შაბათავამ, ოპერის თეატრის ევლახიშვილმა, პროლეტარულ მწერალთა—ს. ეულმა. საქ. მწერ. კავშირის —ობოლმა მუშამ, კომკავშირის — ა. მაშაშვილმა, მბეჭდავთა—დ მელაშვილმა, ახალქალაქის ალმასკომის — მამასახლისიშვილმა, რკ. გზ. ცამც. რაზმის—კიკნაძემ, მუშკორმა ქალმა—ირემაშვილმა ლექსით, ვ ნავთლუღელის ბავშვმა—სოკრატამ (საკუთარი ნახატი მიართვა), ნაცვლიშვილის ბავშვმა—ქალმა, საქონლის სადგურის მუშებისგან—სიო ხიდისთაველმა, ქალაქის აღმასკომის მოსამსახურეთაგან — პ. ბალიაშვილმა და სხ. უდროობის გამო მრავალ დელეგატს უარი ეთქვა, რადგან საბჭოთა ყრილობა იწყებოდა იმავე თეატრში. დაგვიანებულმა დაწესებულება-დელეგატებმა, რომელთაც ეგონათ—იუბილე სალამოთი იქნებაო, შემდეგ გამოგზავნეს თავისი წვლილი. მეჭიანურე ალ. ოლანეზაშვილმა თავისი სოლოთი (ჭიანურზე) აღტაცებაში მოიყვანა მთელი დამსწრე საზ—ბა. აგრეთვე მედუდუკემ. გრძნობიერი სიტყვით მიჰმართა მუშკორების სახელით გაზ. კომუნისტი“-ს, „მუშათა ცხოვ.“ გამგემ გ მალაშხიამ. იმავე სალამოს გაიმართა ნადიმი.

მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ერთი მუშის ბავშვმა, მიშიკო ტაბლიაშვილმა, რომელმაც შემდეგი ლექსით მიჰმართა იუბილიარს.

**სალამი, ძია გიგო!**

„მეც დღეს რაღაც დიდ სიხარულსა ვგრძნობ,
შრომის სკოლიდან მშრომელის შვილი,
მსურს მუშა მგოსანს ლექსი მიუძღვნა,
თუმც პატარა ვარ და ჯერ გულჩვილი.
დასტკბით ყველა აქ შეკრებილნი,
თვალით იხილეთ შრომის ნაყოფი,—
გთხოვთ ჩვენი გიგოს პატივსაცემად
აბრძანდეთ ფეხზე ყველა აქ მყოფი!
(ამ დროს საზოგადოება ფეხზე წამოდგა).
წრფელი სალამი ტკბილ ძია გიგოს,
დიდი ხნის მშრომელს და მოღვაწესა,
დიდხანს იცოცხლეთ და დაესწარით
კვლავ სიხარულით მრავალსა წელსა.“

ზეიმის დასასრულ გიგომ მიმართა საზოგადოებას: „სავარძელზედ ჯდომას არა ვარ ჩვეული“ დამნაშავესავით ვითმენდი.

ერთი ლექსი მაქვს ოდესღაც დაწერილი და დაბეჭდილი, რომელიც ამ სტრიქონებით იწყება:

თუ ამ ზამთარს გავაღწიე
და დავესწარ გაზაფხულზე,

ყველას ვალსა გადავუხდი,
მომეშვება დარდი გულზე...

მეგონა როდისმე ვალებს მოვიშორებდი, მაგრამ ვალის გადახდა არც ისე ადვილი ყოფილა. პატარაობიდან სულ ვალში ვარ. ალბად იმიტომ, რომ ვერასოდეს იმდენი ვერ გავაკეთე, რამდენის გაკეთებაც მინდოდა. დღევანდელმა დღემ კი უფრო დიდი ვალი დამადო კისერზე ასე რომ:

ასი წელიც რომ ვიცოცხლო,
კლდეები გავკვეთო
და რაც გამიკეთებია—
მეტი გავაკეთო.
მაინც ზეიმს არ ვღირსვარ,
ამით ბოდიშს ვიხდი,
მადლობა რა საჭიროა
თუ ვალს არ გადვიხდი?!
მე მტვერი ვარ, მცირე მტვერი,
მეტი არაფერი,
მხოლოდ გული მდიდარი მაქვს—
ბოროტების მტერი!
და ეს გული, ეს ბედკრული
ისე მაამაყებს,
რომ ახლო არ მიმაკარებს
სხვის ოქრო-ვარაყებს!
ვალი ძალიან მაწუხებს,
ვალი არ მასვენებს,
თუ დროზე არ გადვიხადე,
ჯავრი გამასვენებს!
მაგრამ ოღონდ ქვეყანაზე
შრომამ გაიმარჯვოს,
მჩაგვრელი და მოლაღატე
გაქრეს, აიბარგოს.
მაშინ თუნდა ურჩი გული
მოკვდეს, დაიტანჯოს,
არ ვინაღვლი მე ამ დიდ ვალს—
ჩემზე დაიკარგოს!

**პლეხანოვის თეატრში—ნაძალადევში.** თებერვლის 12 რკ. გზის მთავარ სახელოსნოსთან არსებულ კულტკომისიის მთავარ სახელოსნოს მუშათა გუნდის მიერ კომპოზიტორ გიორგი სვანიძის ხელმძღვანელობით გაიმართა დიდი საღამო კონცერტი.

პირველი განყ. გაიხსნა ინტერნაციონალით, შემდეგ გუნდმა შეასრულა „კაკო ყაჩაღი"-დან ერთი სურათი. მუსიკა სვანიძისა. ამ სურათში ორი მომქმედი პირია მხედარი—ლუკაშევიჩი და მეურმე—თინაშვილი (ორივე მუშებია). თამამად, გაბედულად და მოხდენილად ჩაატარეს „კაკო ყაჩაღი", როგორც გუნდმა, ისე მთავარმა შემსრულებლებმა.

მესამე განყ.—კონცერტულ ნაწილში მშვენივრად და მწყობრად მოსჩანდი მუშათა შერეული გუნდი. მწყობრივ და გემოვნებით შეასრულეს სიმღერები. სოლო და რომანსი იმღერა მუშა თანიაშვილმა. მისმა პატარა, მაგრამ ტკბილმა ხმამ დაატკბო საზოგადოება. მუშა მომღერალი მღეროდა კომპ. გ. სვანიძეს ნაწარმოებიდან. ბოლოს გაიმართა ცეკვა—საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩა და ღამის პირველის ნახევარზე დაიშალა.

გ. სვანიძის მადლიანი ხელი დაეტყო მუშებსაც მუშათა შორის ეს რამდენიმე თვეა მუშაობს. თუ მხედველობაში მივიღებთ ხმების შემადგენლობას და სხ., რაც საჭიროა გუნდისთვის, თამამად ითქმის, რომ ამ მუშათა გუნდს დიდი მომავალი აქვს რასაც ჩვენ სიხარულით მოველით და სულით და გულით ვუსურვებთ წარმატებას.

**სიმონ.**

**სახალხო თეატრმა** თებერვლის 8-ს ნ. შიუკაშვილის პიესა „ციცინათელა"-ს წარმოდგენით ახალი სიტყვა სთქვა. შინაარსიან და ლამაზად დაწერილ პიესას დაემატა ახალგაზრდა რეჟისორის ლვამიჩავას შემოქმედება და მხატვრული ლაზათი: ასე შეგნებით, მხატვრული მთლიანობით შესრულებული პიესა იშვიათად გვინახავს. რეჟისორი ავტორის ნაჩვენებ ჩარჩოებს გასცდა დეკორაციების დადგმით: მოქმედებანი გადაიტანა 1 და 2 ბაღჩაში, 3 და 4—ზღვის პირას, იზოში. შესრულებაში დაცული იყო სრული შეთანხმება: თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებოდა ნაკისრი როლის ბუნებრივ-ხელოვნურ განსახიერებაში. ხინო ჩიხლაძე (ბაჩო) დასრულებული ინტელიგენტი მსახიობია. ყოველი ნაქვთი, მოძრაობა, სულიერი განცდა, ხმა. დამუშავებული თვისი ბუნებრიობით გხიბლავთ და გაჯადოებთ და ამიტომაც იყო, რომ პირველი გამოსვლიდან პიესის დასრულებამდის მაყურებელი შებოჭილი ჰყავდა, სევდა, ნაღველი, სულის ყოველმხრივი მიმოხვრა გრძნობათა შორის ჭიდილი,—აი, რას გადმოგვცემდა იგი, განსაკუთრებით [illegible] იყო მესამე მოქ. ბოლოსა და მეოთხის დასასრულს... ეს მსახიობქალი უეჭველად დიდი შემატებაა საზოგადოდ ქართული სცენისათვის. გ. თაზიშვილმა (თავ. გაბრიელი) და ვ. ნინიძემ (მაქსი) ჩვეულებრივ დასრულებული ტიპები მოგვცეს,—ყოველი მათი მიმოხვრა თუ ხმა მათში დასრულებულ სახეობით აშკარავდებოდა. ან ლიოთანიშვილი (ლევან მესხიშვილი) სამედო მომავალის მანიშნებელია: ყოველივე ხელს უწყობს სამსახიობოდ,—ამ საღა ოსაც ლევანის სრული განსახიერება მოსცა, თუმცა თითქო თავის თავში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულაო. შრომა და მეცადინეობა უეჭველია მისგან სრულქმნილ მსახიობს შექმნის. ავალიშვილის ასული (ციცინათელა) სინაზის, მეგრძნებისა და განცდის მსახიობია: როლი სავსებით დაეძლივნა. ყოჩიაშვილის ასულმა (გოგო), გრ. ლორთქიფანიძემ (სარდიონ) და ა. კუპრაძემ (ვიქტორ) სიცოცხლითა და სიხალისით აღავსეს სცენა, დადგმის მხრივ—ვიმეორებთ მ. ლვამიჩავამ გაიმარჯვა.

სახალხო თეატრმა მაღლა ასწია სამშობლო სცენის დროშა და საზოგადოებაც გულწრფელ მადლობას უძღვნის. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა როგორც შემსრულებელნი, ისევე ავტორი ნ. შიუკაშვილი. **უსავანო.**

**ქუთაისის** სახელმწიფო თეატრში სახალხო ლოტბარ მომღერლის ძუკუ ლოლუას საზეიმო საღამოზე, რომელიც მას გაუმართეს 25 წლის მოღვაწეობის გამო, საძირკველი ჩაეყარა აკაკის და სხვა ქართველ მოღვაწეთა კაიხნის საწადელს—ხალხურ ზეპირსიტყვიერების და ხალხურ სიმღერა გალობის მოყვარულ საზოგადოების დაარსებას.

ქუთაისის ხელოვნთა მუშაკების კავშირის ხელმძღვანელობით დაარსდა „ხალხურ სიმღერების მოყვარულთა საზოგადოება", რომლის სასარგებლოთ ამ საღამოს 5—6 მილიარდამდე მან. თანხა შეიკრიბა დამსწრეთაგან. ეს საზოგადოება ითანამშრომლებს ადგილობივ „მუსიკალურ ტეხნიკუმთან" ერთად, რომლის ხელმძღვანელად დღეს საქართველოს ცენტრ—ტფილისიდან ცნობილი განსწავლილი მუსიკოსი ილიკო აბაშიძეა დანიშნული.

იმედია, ეს ახლად დაარსებული საზოგადოება მალე შეუსრულებს კაიხნის სურვილს მომღერალ ძუკუ ლოლუას, რომელიც დაჟინებით მოითხოვს მთელი საქართველოს ხალხურ მომღერალთა კონფერენციის მოწვევას სახალხო სიმღერების შეკრება-გავრცელების საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლათ და გეგმის გამოსამუშავებლათ. **იხო.**

**თვით-მშრომელთა კლუბში** დეკემბერის 22 ტეხნიკუმის (ყოფ. (1) მოწაფეებმა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გამართეს „საღამო-წარმო-

დჯენა“ საზოგადოება მრავლად დაესწრო. საღამო დაიწყო ორი შესავალი სიტყვით, რომელშიაც განმარტეს საღამოს მიზან დანიშნულება. დასდგეს შ. დადიანის „საშინელი შურისძიება“ და ი. ბოხუასი „მე თუ არა შენც არა“. დივერტისმენტში წაიკითხეს საკუთარი ლექსები, სცენები, მელოდეკლამაცია; ბოლოს გაიმართა ცეკვა. იყო სიმებიანი ორკესტრიც.

დადგმა არც ერთი პიესის არ იყო ხეირიანი, განსაკუთრებით პირველისა. კომედიამ მხიარულება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

დივერტისმენტიდან საზოგადოებას მოეწონა კინტოს კუპლეტები და სომხური სცენები.

საღამოს გამართლება იმით თუ შეიძლება, რომ საქველმოქმედო იყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უფრო მეტი მომზადებაა საჭირო.

**ახალგაზრდა.**

**ავლაბარის მე-4 შრომის სკოლის დარბაზში** დეკემბრის 25 მოწაფეებმა წარმოადგინეს იროთელის „დამარცხებულნი“.

როლებს ასრულებდნენ თვით მოწაფეები: დავით ბალდანიძეს — ე. ნინიკაშვილი, ნატალიას — უსეინაშვილი, ქეთოს თამარა გიუნაშვილი, მიშასა და ვანო ბერდიაშვილს ლონგინოზ ლომთათიძე, ნიკო ბერდიაშვილს — ა. შარაბიძე, მოსამსახურეს — აბაიშვილი, ზაქ მოქინლაძე — გ მრევლიშვილი, ჟანდარმების ოფიცერი — შ ლეჟავა, ელისაბედი — თამ მათიაშვილი. როლები საუცხოვოდ ჰქონდათ შესწავლილი, და კარგადაც შეასრულეს, რითაც დამსწრენი კმაყოფილნი დარჩნენ.

ხელმძღვანელობდა დრამსტუდიის მოწაფე ა. შარაბიძე, ეხმარებოდნენ ბ. მაისურაძე და გ. ჟუჟუნაშვილი. წარმოდგენას დაესწრნენ მასწავლებელნი და მოწვეული სტუმრები, რომლებიც ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ წარმოდგენით და ახალგაზრდობას უსურვეს წარმატება.

**დამსწრე.**

**ქუთაისის სახელმწიფო თეატრში** იანვარის 13 აკადემიურმა დრამამ მე-3-ჯერ წარმოადგინა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, დენიერისა, თარგ. ვ. გუნიასი. მიუხედავათ მესამეჯერ დადგმისა, დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ერთი მხრივ კაპიტალისტ-ბურჟუების ფუფუნება, განცხრომა, მეორეთი — სიღატაკე, ....უადგილობა, დევნა და სხ. იძლევა საფრანგეთის ცხოვრების ნამდვილ სურათს. პიესა დაწერილია მშვენიერი ქართულით, შინაარსი გასაგებია და მშვენივრად დადგმული (ვ. გუნიას მიერ). ამიტომაც საზოგადოება ხალისით ესწრება. პიესის მთავარი პიროვნება დიუპონია (ბურჟუა), რომელმაც თავის კეთილდღეობა — და სიმდიდრე საცოდავ ღარიბ-ღატაკთა უბედურობით მოიპოვა, ბოლოს მარცხდება... მყარდება მუშათა ხელისუფლება, რის გამოც დიუპონი გულმოკლულია. იგი მშვენივრად განასახიერა თვით მთარგმნელმა ვალ. გუნიამ. ყურადღება მიიპყრო შალვა ჯაფარიძემ (ღარიბის როლში). ეტყობოდა მომზადება და როლი შეგნებით განასახიერა. სარაული — (ბასტონი) ტიპიური იყო, შეუდარებელი. ესევე ითქმის ქალთა შესახებაც, დანარჩენები შეხმატკბილებულ თამაშს ხელს უწყობდნენ. საერთოდ ყოველივეს რეჟისორის ხელი ეტყობოდა. გუნიას ღრმად შეუთვისებინებია მსახიობთათვის პიესის შინაარსი.

დასი თანდათან იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. მადლობის ღირსნი არიან რეჟისორები ვ. გუნია და იუზა ზარდალიშვილი ქართულ დრამაში — მსახიობთა სათანადო კადრის შექმნისთვის.

**ვ. ლი.**

**სენაკის რკ. გზის თეატრში** 1923—24 წ. ზამთრის სეზონი ადგილობრივმა დრამ. დასმა გახსნა ოქტ. 14 სით ჭანტურიშვილის „ბურუსი“-თ. დასს ხელმძღვანელობენ მსახიობი ი. თარალაშვილი და ექიმი ს. კეკელია. თეატრში წარმოდგენები სისტემატიურად მიდის (კვირაში ორჯერ). დასმა სამ თვეში დასდგა 29 სხვადასხვა პიესა, მათ შორის: „ბურუსი“, „მამა“, „№ 21 †“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ქრისტინე“, „ბატონის ქალი იულია“, (ს. კიკელიას თარგმანი) და სხ. დასს განზრახული აქვს საგასტროლოდ მოიწვიოს დამსახურებული მსახიობნი: აბაშიძე, გუნია, ზარდალიშვილი, ჩერქეზიშვილი, შ დადიანი, სარაული. (ორი უკანასკნელი იყო) მზადდება პიესები: „უბედური ნაბიჯი“, „სულელი“, „როზა ბერდ“, „მზის ამოსვლის წინ“. თეატრში ხალხი ბლომად დადის (საშუალოდ 150 კაცი).

**ი. გ—ლია**

**სართიჭალაში** (გარე-კახეთი). შესდგა სცენის მოყვარეთა დასი. დასში 25 ქალ-ვაჟია. გამგეობა შესდგება სამის წევრისაგან (გაბო დუჩიძე, აბრამ ბარძიმაშვილი და სონა ჭინჭარაული).

წარმოდგენები ყოველ-კვირა იდგმება. ამას წინად გაასამართლეს „ქრისტინე“, ეგ. ნინოშვილისა.

გასამართლებამ საუცხოვოთ ჩაიარა და მაყურებლებზე მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

თეატრი ძალიან ღარიბათაა როგორც პიესებით, ისე მოწყობილებით. საჭიროა ცენტრიდან სათანადო ყურადღება — დახმარება.

**ბარისა ბარელია.**

# ბიბლიოგრაფია

**ალექსანდრე ყაზბეგი**

რჩეული მოთხრობები. ტომი I.
ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.
ტფილისი, 1924 წ. ფასი 2 მ. 50 კ. ჩერ.

ზემორე დასახელებულ წიგნის გამოცემით სახელგამმა მშვენიერი საჩუქარი უძღვნა ქართველ მკითხველს. ამ წიგნში მოთავსებულია ა ყაზბეგის რჩეული მოთხრობები: „ელგუჯა“, „ციკო“, „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ელბერდი“ და „ელეონორა“, დართული აქვს სარედაქციო კოლეგიის წევრის ს აბაშელის მოკლე განმარტებითი წერილი (გამოცემის შესახებ), ივ. გომართლის კრიტიკული შენიშვნა „ალ. ყაზბეგი და მისი ძიება“ და ვ კოტეტიშვილის „ალ. ყაზბეგის პიროვნული დ ხასიათება“, ორი სურათი, — ერთი ამათგანი დღემდე გამოუქვეყნებელი, — ალ. ყაზბეგი ევროპიულ ტანისამოსში, მოსკოვიდან დაბრუნების დროინდელი და ფაქსიმილე — მოთხრობა „მოძღვარი“-ს დასაწყისი და ბოლო.

სარედაქციო კოლეგიას ამ მოთხრობების გამოცემაში შეუსწორებია ზოგიერთი გრამატიკული შეცდომანი და შეუსაბამობანი, „ელგუჯა“-ში შეუტანია წინა დროის გამოცემებში გამოტოვებული ადგილები.

საგამომცემლო კოლეგიას ყოველი ღონისძიება მიუღია წიგნის ღირსეულად გამოცემისათვის და მიზნისთვისაც მიუღწევია.

წიგნი აწყობილია კორპუსის ასოთი, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, ფართე ზომისაა, შეიცავს 376 გვ. და ღირს 2 მ. 50 კ. ჩერ.

სასურველია ქართველმა მკითხველმა მალე იხილოს ა. ყაზბეგის არა თუ რჩეულ მოთხრობათა მეორე ტომი, არამედ მთელი მისი ნაწერებიც, აგრეთვე საჭიროა სახელგამმა შემოიღოს ქართველ ცნობილ მწერალთა მოთხრობების ცალკე წიგნაკებად გამოცემა საერთო სათაურით, (მაგ. თუნდა „ალ. ყაზბეგის ბიბლიოთეკა“-ს სახით) ხელმისაწვდენ ფასებში.

ყოველი ქართველი მწიგნობარი მადლობით მოიხსენიებს სახელგამს ამ წიგნის გამოცემისთვის.

**ი. არიელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი ჩერვონცები

**სახალხო თეატრის გამგეობის და მსახიობების შეერთებული კრება.**

სახალხო თეატრის არსებობის დღიდან დღევანდლამდე, მის 30 წ. განმავლობაში ჯერ არ შევხვედრივარ ისეთ არაჩვეულებრივ კრებას, როგორიც მოხდა წარსულ დეკემბრის თვის ბოლო რიცხვებში. ამ კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად განსახილველი იყო მსახიობების ჯამაგირების დანიშვნა და იმ 80 ჩერვონეცის დარიგება, რომელიც გამგეობამ გადასდო. მსახიობების შრომის ანაზღაურებისათვის.

რაც შეეხება ჯამაგირების დანიშვნას ყოველთვიურად, ეს პირველი მოვლენაა სახალხო თეატრის ისტორიაში, იგი წარმოშვა მის იუბილეში შემოსულმა ორიოდე შაურმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბოლო ხანებში ძლიერ ბევრი გამოუჩნდა სახალხო თეატრს „გულშემატკივარი“ ახალი „მოღვაწე“. ისინი იძახიან: სახალხო თეატრი უნდა განახლების გზაზე დავაყენოთ, უჩვენოთ მხატვრული წარმოდგენები, უნდა შევქმნათ ახალი სკოლა და სკოლის მასწავლებლები და შემქმნელნი **ჩვენა** ვართ: თქვენ, ვისაც აქამდის გიმუშავნიათ, თუნდაც 30 წლები, ჩამოგვშორდით, ხელს ნუ გვიშლით; თქვენ აქ ადგილი აღარა გაქვთ. ეს ბინა ეხლა ჩვენ გვეკუთნის. მართალია ჩვენ ამ შრომისათვის მოვითხოვთ ჯამაგირებს, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ დაგანახვებთ ჩვენს ვაჟკაცობასო.

როგორც ეტყობათ, მათ ჰგონიათ ძველი სახალხო თეატრის მოღვაწენი და მისი სულისჩამდგმელი მუშები, ჯერ კიდევ ცოცხალნი, პანაშვიდით გაისტუმრონ, თითონ იუბილეში შემოსულ ფულებზე ჯვარი დაიწერონ და სახალხო თეატრი თავიანთ შემოსავლის წყაროდ გარდაიქციონ.

როცა ეს იუბილეში მოგროვილი ფული გამოელევათ, თეატრის შემოსავალიც ველარ დაჰფარავს მათ მოთხოვნილებას და სახალხო თეატრის ფარდაც სამუდამოთ ჩამოეფარება, ამისათვის ისინი აღარ ნაღვლობენ.

ამ მიზნის მისაღწევად ნავარაუდევი ჰქონდათ შემდეგი ხერხი: ამ კრებაზე გადაეწყვიტათ ჯამაგირების მიცემა მსახიობებისათვის, შემდეგ მოეხდინათ გაცხოვლება, გაერეკათ ძველი დამსახურებული მსახიობნი, (რომელთაც არა ერთხელ და ორჯერ მთელი სეზონები თავიანთ კისერზე გადაუტანიათ), რათა ბოლოს ამ ახალ „მოღვაწეებს“ დარჩენოდათ ბურთი და მოედანი. ამ კრებაზე მყოფ ძველმა დამსახურებულმა გამგეობის წევრებმა იოსებ ბესელიძემ, სამსონ ტოროშელიძემა და მსახიობთაგან სანდრო ბადრიძემ, გიორგი ჯაბაურმა, რაფიელ ჯიბლაძემ და იაშა ელიაშვილმა სათანადო პასუხი გასცეს ახლად მოვლენილ ფულის მოყვარე „მოღვაწეებს“: დაუმტკიცეს, რომ სახალხო თეატრი ვერ გაუძლებს ჯამაგირის სისტემას, ამ პირობებში იგი მალე მოკვდება; განუმარტეს, რომ მხატვრული წარმოდგენები წინად შათირიშვილის, ალ. წუწუნავას და დადიანის დროს უფრო იდგმებოდა, ვიდრე დღეს—თქვენ „ახალის“ მოტრფიალეთა ხელში და რაც შეეხება სახალხო თეატრის წინსვლი, იდეას, ეს იმ დროსვე ჩაისახა, როცა იგი პირველად დაარსდა; მას მერე მოყოლებული დღევანდლამდე მთელი რიგი გამგეობის წევრებისა და მისი სცენისმოყვარეებისა სულ იმას სცდილობდნენ, რომ დღევანდელ წარმოდგენისათვის ხვალინდელს ეჯობნა. და მისი მოღვაწენი მაშინ ჯამაგირს სულაც არ იღებდნენ აქ საჭიროა რიგიანი რეჟისორები და მსახიობების სიყვარული სახალხო თეატრისადმიო. ერთმა ჯგუფმა ბევრი იტრიალა ამ კითხვის გარშემო. ის ამბობდა: მსახიობების ჯამაგირი მოგვცემს მხატვრულ წარმოდგენებს, მხატვრული წარმოდგენები ჩვენზე მეტ ყურადღებას და ეს ყურადღება კი ბევრს ფულსაო. ისე, რომ მათა ჰსურდათ სახალხო თეატრში გამოწრთობილი ძველი მოღვაწენიც ჩაეთრივნათ თავიანთ ოცნებაში, ნამდვილად კი შეგროვილი ფული დაეხარჯინებინათ და შემდეგ ცალიერის სალაროთი ჰქონიყოთ ვისიმე იმედი. კრების უმრავლესობამ ამ ოცნებას სინამდვილე ამჯობინა და გადასწყვიტა: არ დაენიშნოთ მსახიობებს არავითარი ჯამაგირები. იყოს მარკის სისტემა ისე, რომ ვინც მეტს ითამაშებს, ის მეტს მიიღებს წარმოდგენის შემოსავლიდანო.

დამარცხდა ეს ჯგუფი, მაგრამ დარჩათ ერთი გამოსავალი გზა. საქმე შემდეგშია: რეჟისორს შეუძლიან როლები სულ თავის კომპანიის წევრებს მისცას, ერთი და იგივე ათამაშოს მუდამ და ამ დანარჩენებს, ძველები იქნებიან თუ ახლები, როცა მობეზრდებათ ხანგრძლივი ლოდინი, თავს დაანებებენ და წავლენ. ამისათვის საჭიროა ამ გამგეობას მიაქციოს დიდი ყურადღება თვით გამგეობამ.

ესეთი იყო, ჯამაგირების კითხვა!

მეორე კითხვა იყო თუ ვისთვის მიეცათ ის 80 ჩერვონეცი საჩუქრად?!

კრებამ მიიღო: ამ ფულის განაწილებას დაედვას სარჩულად შრომის პრინციპი.

გამგეობის ძველმა წევრმა იოსებ ბესელიძემ განაცხადა: რადგანაც შრომის პრინციპი მიიღეთ, უნდა იცოდეთ, რომ ეს 80 ჩერვონეცი მოგვცა სახალხო თეატრის არა ეხლანდელმა დასმა, რომელიც მუშაობს მხოლოდ შემოდგომიდან, შეიძლება მათში სულ ახლებიც კი ერივნენ, არამედ იმ ძველი მოღვაწეების დიდმა შრომამ, რომელნიც მთელი 30 წ განმავლობაში უსასყიდლოთ მუშაობდნენ, საჭიროა იმათაც მივაღებინოთ მონაწილეობა ამ ფულის გაყოფაში,—ამას მოითხოვს სამართლიანობაო.

ჩერვონეცით გატაცებულმა ახლად მოვლენილმა მსახიობებმა არ მიიღეს ეს სამართლიანი წინადადება და დაადგინეს: რას მიქვიან ძველი მოღვაწენი, აი ვინც თითსა ვწევთ, ფულიც ჩვენ გვეკუთვნისო.

და მართლაც მათმა თითის აწევამ შესძინა მათ ეს მათთვის ბედნიერი ჩერვონცები, რომელიც ამოვლებული იყო ძველ მოღვაწეთა სისხლში, და ეს სისხლიანი ჩერვონცები დაირიგეს თვითეულმა თავის თავად.

სახალხო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი,

მუშა-მსახიობი **გიორგი ჯაბაური.**

---

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“.**

# დაბა-სოფელი

## მეტი ყურადღება სოფლის თეატრებს.

დღემდის საზოგადოების მთელი ყურადღება ადგილობრივ თეატრზეა მიპყრობილი და ოდნავ არ გახსენებიათ სოფლის თეატრის ცხოვრება. ყველა სოფლის შვილები ვართ, მის მიწა-წყალზე აღზრდილი, მაშ რათ გვავიწყდება სოფელი? დროა ჩვენი დანაშაული გამოვისყიდოთ და სოფლის თეატრს მივხედოთ.

განვლო რამდენიმე წელიწადმა, რაც სოფლის თეატრის ამბავი არაფერი გვესმოდა, მაგრამ დღეს კვლავ გაანათა თეატრის ჩირაღდანმა—ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-მ, რომელიც სოფლის თეატრს დიდ ყურადღებას აქცევს და ყველა სოფლის მზრუნველთ მოუწოდებს ამ საქმეში ჩასაბმელად.

**ს. ბოდბისხევი** (სიღნაღის მაზრა) დიდი სოფელია, ბევრ მცხოვრებლებს იტევს, მდებარეობაც მეტად ვრცელი აქვს. ბოდბის ხევი სოფელს არ დაემგსავსებოდა, თუ მის გულში არ ამართულიყო თეატრის კედლები. და ეს შესრულდა კიდეც 1910 წ., მაგრამ დღეს ბოდბის-ხევის მცხოვრებთ დავიწყებული ჰყავთ თეატრის დაარსების მეთაურები. ესენი ამ სოფელს ეკუთვნიან, მაგრამ დღეს მათი შრომა წაშლილია, დავიწყებული. პირველად როცა თეატრის კედლები აკურთხეს, სცენის მოყვარეებმა დასდგეს ვ. გუნიას „და-ძმა“. წარმოდგენას საზოგადოება ისე ალტაცებით შეხვდა, რომ გაამეორებინეს, შემდეგ თითქმის მთელი ზაფხული წარმოდგენები იმართებოდა. სათეატრო დარბაზი ყოველ საღამოს ივსებოდა. მაგრამ შემდეგ ყველა შეიცვალა. დღეს ბოდბის-ხევის თეატრს ობი აქვს მოკიდებული, მის კარებს უზარმაზარი კლიტე აძევს. ყველაფერი დანგრეულია, აღარ ამჩნევია სად პარტერი ყოფილა, სად სცენა. 1910—1918 წლამდე ეს თეატრი რომ კარგ საფეხურზე იდგა, ამის მოწმეა ტფ. დასი და შ. დადიანი, რომელთა წარმოდგენებს საზოგადოება დიდის ოვაციებით ჰხვდებოდა. დღეს კი ეს თეატრი დაკეტილია. სამაგიეროდ ბოდბისხევის ყოფილი მარიამის ეკლესია ადგილობრივმა კომუჯრედმა შეასწორა, საკურთხევლის ალაგას სცენა მოათავსა, მეორე ნაწილში—პარტერი და უწოდა „კომკავშირის კლუბი“. პირველად დაიდგა ილ. ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“, მეორედ ყაზბეგის „არსენა“ და სხ. ხალხი საკმაოდ ესწრებოდა, სცენისმოყვარენიც პირველხანად კარგად შეხვდნენ. ძველ თეატრს რაც რამ მოეპოვებოდა—ყველა აქ გადმოიტანეს, მაგრამ ამ ეკლესიამ მაინც თეატრობა ვერ გასწია. მსახიობ-სცენისმოყვარეთ ხმა-ლაპარაკი უზარ-მაზარ ეკლესიის სივრცეში იკარგება და მსმენელში ერთგვარ გაბრუებულ ხმიანობას იწვევს. ეს ერთი. მეორე—სცენის სივიწროვე გასაქანს არ იძლევა, მესამე—ნივთიერი ხელმოკლეობა. არც ერთი წარმოდგენა წარმოდგენას არა ჰგავს. იმის მაგივრად, რომ მოქმედების დასასრულს ფარდა მეფარდისგან იხსნებ-იხურებოდეს, პატარა ბავშვები ხურვენ და ხსნიან ფარდას, რაიცა სოფლის ხალხში ერთგვარ ურწმუნოებას ჰბადებს თეატრისადმი, თეატრს სხვანაირი გაგებით უყურებენ. ამ გარემოებას საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს. დაე, ყოფილი ეკლესია იყოს კომკავშირის კლუბად, რომელიც საამისოდ არის მოწყობილი, ხოლო ძველი თეატრი ისევ კალაპოტში უნდა ჩადგეს. მართალია ამას თანხა სჭირია, მაგრამ მთავრობამაც და ხალხმაც იციან, თუ თეატრი რის მომცემია და თავის წვლილსაც გაიღებენ. კლუბში (ყოფ. ეკლესიაში) მხოლოდ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ლექციების მოწყობა შეიძლება. ოდესღაც ძველ თეატრს ჰქონდა საკმარისი სკამები, ტანისამოსი, გრიმები და ხელმძღვანელი რეჟისორიც მოეპოვებოდა. დღეს არაფერია, ყველაფერი გაპარტახებულია. რა იქნა ტანისამოსი? რა იქნა სკამები? რა იქნა გრიმები? ყველგან „არ ვიცი“ გაისმის. უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ მცხოვრებლებმა უნდა მიაქციონ ყურადღება მთავრობის დახმარებით. ბოდბის-ხევის თეატრს მადლიანი წარსული აქვს და ეს მოითხოვს სასცენო ხელოვნების მოყვარულთა მხურვალე მონაწილეობას, რომ ხალხის გულში თეატრის სიყვარულმა კვლავ გააშუქოს.

**ი. პავლიაშვილი.**

# კინო

## „ვიდრე ხვალ უფალო“

რომში გერმანელი კინო-საზოგადოების დავალებით იღებდენ სურათს. „ვიდრე ხვალ უფალო“. სურათის გადაღების დროს 40 ლომი არ დაემორჩილა მწრთვნელს და დიდი პანიკა გამოიწვია მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის (4000 კაცი). ლომმა დაგლიჯა ერთი მოხუცი. სურათის გადამღებმა გადაიღო მთელი ეს საშინელი სურათი.

# ხელოვნების ქრონიკა

**ნარკანმა** აღმოაჩინა ევ. ნინოშვილის მოთხრობები, რომლებიც არც ერთს მის კრებულში არ შესულა დღემდე. ეს მოთხრობებია: „ცხოვრების ჩარხი“, „კაცია და გუნება!“, „განკიცხული ოჯახი“, წერილები დაღესტნიდან. გამოცემის ხელმძღვანელობა, სტილი და სახ. ენის გასწორება მინდობილი აქვთ იმავე ნ. კურდღელაშვილსა და თ. სახოკიას. წიგნის ბეჭდვას უკვე შეუდგნენ.

**გ. ქუჩიშვილი** მძიმე ავადმყოფია, სისხლი ამოანთხია დიდ გაჭირვებას განიცდის.

**ომში დაჭრილთა შრომის არტელის „ახალი წრე“** შეუდგა ძველი ქართული თეატრის (ყოფ ქართულ, შემდეგ წითელარმიელთა კლუბის) შეკეთებას. ამ მოკლე ხანში გაიხსნება ქართული კლუბი, სადაც გაიმართება ქართ. წარმოდგენები და სხ.

**ობოლი მუშის** (ს. თავაძის) ლექსების II წიგნი „შორი ნათელი“ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა.

ნ. დ. მთავლიტ. მიერ. № 1023 სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქ., № 4. ტირაჟი 2000

ტფილის. ... საჯარო ...

ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება განცხადებანი:
ფასი განცხადებათა დაბეჭდვისა: ტექსტის წინ პეტიტით აწყობილი თითო სტრიქონი — 40 კ., უკან — 30 კაპ.
თვიურად და წლიურად — შეღავათით.

## „თეატრი და ცხოვრება“-ს მკითხველთა და ხელისმომწერთა საყურადღებოდ:

დაბა-სოფლებიდან მოგვდის შეკითხვები, თუ საიდან შეიძლება გაიწერონ ჟურნალი, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჟურნალის დაკვეთა შეიძლება ტფილისში (რედაქციის გარდა), **ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში** (რუსთაველის პრ. № 26) **ამხ. ალ. ჩერქეზიშვილთან** (ტელეფ. 5—43) და ყოველგვარ საგამომწერო თუ საგანცხადებო საქმეზე მასვე მიმართონ, ხოლო პროვინციაში ყველგან — ამავე ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის აგენტებთან.

რედაქციის ბინა: ძველი ქართული თეატრში (ყოფ. წითელარმიელთა კლუბი) ეზოში, სასახლის ქუჩა, № 5.

რედაქტორის ნახვა შეიძლება დილით 10—1 ს.

**1924 წ., კვირას, თებერვლის 17-ს**

**ს. ნიგვზიანში** (ჯუმათი)

**ნიგვზიანის საზოგადოების მიერ გადახდილი იქნება მუშა-მგოსნის**

**გიგო ხეჩუაშვილის** 25 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად საპატივცემლო **იუბილე**

წარმოდგენილი იქნება იუბილიარის დრამა 5 მოქ. 2 სურ.

1. **უმანკონი** და 2 **პაატა** რეჟისორი ი. ორაგველიძე

**მონაწილეობენ:** ი. ორაგველიძე, ვ. ჭეიშვილი, კ. სარიშვილი, შ. დობორჯგინიძე, გ. ვაჩეიშვილი, დ. დობორჯგინიძე, მ. კაშიბაძე, თ. ტუღუში, გ. ლალაძე, ბ. აფხაზავა, უ. მოისწრაფიშვილი, ს. ურუშაძე, დ. მოისწრაფიშვილი, მ. ჩხაიძე, კ. მეგრელიშვილი და სხვა.
დაუკრავს ლანჩხუთის ქალაქის მუსიკა. ბუფეტი, მფრინავი ფოსტა, აუქციონი, ლოტარია.
დასაწყისი დღის 4 საათიდან, წარმოდგენისა სად. 9 საათზე.

**იუბილეს მომწყობი კომისია.**

**კახელ მევენახეთა ამხანაგობა**

**კახური ღვინო**

**საერთო**

**ინახება საუკეთესო ხარისხის**

**კახური**

**ბუნებრივი ღვინოები**

**როგორც წითელი, აგრეთვე თეთრი, ხელმისაწვდომ ფასებში**

**იყიდება წვრილად და ბითუმად.**

ბელინსკის ქ., № 9.

პატივისცემით საწყობის გამგე **ს. მ. ქართველიშვილი.**